საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 27
(11 484)

6 – 9 აპრილი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეგრაველებიც მოსაგებად ჩამოდიან!

3

მირიან გიორგაძე

მუხრან ვახტანგაძე

ოქროს და ბრინჯაოს მედლებით სოფიიდან

ევროპის ჩემპიონატის წინ, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს 7 რჩეული ფალავანი მონაწილეობდა სოფიაში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში, მსოფლიო ჩემპიონის ნიკოლა პეტროვის ხსოვნის პრიზზე. 17 ქვეყნის 150 მონაწილეთა შორის ჩვენებმა ერთი პირველი და ერთი შეორე ადგილები მოიპოვეს. საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა მძიმეწონოსანი მირიან გიორგაძე, ბრინჯაოს მედალი კი წილად ხვდა სიდნეიში ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორ მუხრან ვახტანგაძეს.

ევროპის ჩემპიონატი ერთ თვეში გაიმართება სტამბულში.

3

გორდასონის საფეხბურთო სპექტაკლი... წაიშალა

კალათბურთი • ვაქთა ევროვნული ჩემპიონატი

კადეტების პირველი გამარჯვება

სლოვაკეთში დაიწყო კადეტთა შორის ევროპის პირველობის ნახევარფინალური შეხვედრები საქართველოსთან ერთად ჯგუფში ასპარეზობს იტალიის, გერმანიის, პოლონეთის და სლოვაკეთის ნაკრები გუნდები. ფინალში სამი საუკეთესო გადის. პირველი მატჩი ჩვენებმა წარმატებით ჩაატარეს და შთამბეჭდავი ანგარიშით 85:59 სძლიეს პოლონელებს.

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

I ტური მეორე ეტაპი

მკითხველის საფეხბურთო

4

ნოსტალგია

2

ფილმი გიორგი ქანდელაკზე

„მაგთი“ – ქართული სპორტის მეგობარი!

MAGTI GSM



8

ხვალ რუმინეთთან გვაქვს დიდი სარაგბო ომი!

2

სპორტი სპეციალური დარბაზში

5

ჩემპიონთა ლიგა

მიმოხილვა პირველი მეოთხედ-ფინალური მატჩები

UEFA CHAMPIONS LEAGUE

გაზეთის დაბეჭდვის წინ:

ფიფა უკმაყოფილოა. იმ სიტუაციით, რომელიც შეიქმნა სამხრეთ კორეაში მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის ახალი სტადიონების მშენებლობასთან დაკავშირებით, ფიფა უკმაყოფილოა.

გუშინ, ფიფას სპეციალური კომისია ჩავიდა ამ ქვეყანაში, რათა დეტალურად გაეცნოს საქმის ვითარებას. მანამდე ფიფას ჩინოსნები იაპონიაში იმყოფებოდნენ. მათი განცხადებით, ამომავალი მზის ქვეყანაში გაცილებით უკეთესი სიტუაციაა, ვიდრე მის მეზობელთან.

გარდაიცვალა რამონ მენდოსა. საფეხბურთო სამყაროში გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 73 წლის ასაკში გარდაიცვალა მადრიდის „რეალის“ ყოფილი პრეზიდენტი რამონ მენდოსა. იგი სამეფო კლუბს 1985-1995 წლებში ხელმძღვანელობდა. ამ პერიოდში მადრიდელები ექვსჯერ გახდნენ ესპანეთის ჩემპიონები და ორჯერ მოიგეს უეფას თასი.

გუშინ. სამხრეთ კორეაში გაიმართა კონფედერაციათა თასის საფეხბურთო ტურნირის (30 მაისი – 10 ივნისი) კენჭისყრა. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 8 ქვეყნის ნაკრები გუნდი.

A ჯგუფი: საფრანგეთი, სამხრეთ კორეა, მექსიკა, ავსტრალია.

B ჯგუფი: ბრაზილია, კამერუნი, იაპონია, კანადა.

ტურნირის სასტარტო მატჩი სამხრეთ კორეაში გაიმართება, ფინალური – იაპონიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 4 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

TM © 1997 SLOC 36 USC 380

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს 10 თვე და 2 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

MAGTI GSM

მარტში საუკეთესო სპონსორი

„ლელომ“ შეაჯამა გასულ თვეში ქართულ სპორტში სპონსორების მიერ გაწეული შედეგები და გამარჯვებულად სცნო მაგთი GSM, რომელიც „საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელთა“ გამოვლენისა და დაჯილდოების ცერემონიალის გენერალური სპონსორი იყო.

გოგი თოფაძის ფონდი – ქართული სპორტის იმედიცაა

გავა ათწლეულები და ვინც ახალი საქართველოს ქველმოქმედთაგან განსაკუთრებით გამორჩეულ პიროვნებას გამოწვლილვით მოიძიებს, წინა პლანზე უთუოდ წამოიწევს გოგი თოფაძის პიროვნება. მეტიც, ათვლა მისგან დაიწყება. ამ კაცმა ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოუხადა ხარკი და ეს პროცესი რომ არ შეწყდება, გოგი თოფაძემ ამ დღეებში თავისი ფონდის დაფუძნებით და საქველმოქმედო საქმიანობის ლეგალიზაციით დაადასტურა. გაწეული დახმარება ქართულ სპორტშიც სოლიდურია: ნაგანოში საქართველოს სპორტსმენთა ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე გამგზავრების ორგანიზება, სპორტის ცალკეული სახეობების თუ სპორტსმენების ხელშეწყობა, ინვენტარის შეძენა, შეკრებებზე თუ შეჯიბრებებზე გუნდების, განსაკუთრებით სპორტის ზამთრის სახეობებში, მივლინება და ა.შ.

ფონდში წლეულს ერთი მილიონი ლარი ჩაიდება, აქედან 80 ათასი ქართულ სპორტს მოხმარდება.

თუნდაც ამ ფონდის შექმნით რჩება გოგი თოფაძე საქართველოში უპირველეს ქველმოქმედად.

საქართველოს სპორტსმენები – შინ და გარეთ

საქართველოს პირველობა ჭადრაკში

საკაო მოულოდნელობა

როცა შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით ტარდება, ცხადია, მოულოდნელი შედეგისაგან დაზღვეული არავინაა. სწორედ ასე მოხდა საქართველოს ჩემპიონატებზე, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის, რომლებიც ერთდროულად მიმდინარეობს.

ქალთა შეჯიბრების პირველი წრის შედეგებიდან უნდა აღინიშნოს ნორჩ მოჭადრაკე ძაგნიძის წარმატება დიდოსტატ ხმიადაშვილთან. მეორე წრიდან ასპარეზობას რამდენიმე უძლიერესი მოჭადრაკე დაემატა. აქ დიდოსტატმა გურიელმა ორივე პარტია წააგო ჭარხალაშვილთან, ხოლო საქართველოს შარშანდელმა ჩემპიონმა ტერელაძემ გათამაშებიდან გამოთიშა შარშანდელი ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ხურცილავა. გამონაკლისი არც მესამე წრე გამოდგა. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნორჩი მოჭადრაკეების წარმატება. გვეტაძემ დაამარცხა დიდოსტატი ტყეშელაშვილი, ხოლო ძაგნიძემ გათამაშება დაატოვებინა მათნაძეს.

დღეს იწყება მეოთხე წრე. ნორჩი მოჭადრაკეები ძაგნიძე და გვეტაძე აქ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, ხოლო ტერელაძე ეთამაშება ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ჯავახიშვილს. პირდაპირ ვთქვათ, დასკვნითი კვარტეტის შემადგენლობა, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი აღმოჩნდა.

რაც შეეხება ვაჟების შეჯიბრებას, აქაც საკმაო სიურპრიზებს წავაწყდით. პირველი წრიდანვე დატოვა შეჯიბრება ვეტერანმა დიდოსტატმა გურგენიძემ. იგი მჭედლიშვილთან დამარცხდა. მეორე წრეში ძალიან გაუჭირდა საქართველოს შარშანდელ ჩემპიონ გელაშვილს, მაგრამ ბოლოს მაინც დასძლია ახალგაზრდა ოსტატ შენგელიას წინააღმდეგობა. მესამე წრეში დიდოსტატ სტურუას და საერთაშორისო ოსტატ სუპატაშვილს მთელი 6 შეხვედრის ჩატარება მოუხდათ და დიდოსტატმა უპირატესობა მხოლოდ ელვისებურ პარტიებში მოიპოვა. ჩინებულად ითამაშა მჭედლიშვილმა, რომელმაც ორივე ძირითადი პარტია მოუგო გელაშვილს. ჯობავამ კი ორჯერ დაამარცხა დიდოსტატი კეკელიძე.

გუშინდელ IV წრეში სტურუამ დაამარცხა ჯობავა – 2:0, ხოლო მჭედლიშვილმა ასეთივე ანგარიშით დიდოსტატი ბაღათუროვი.

ამრიგად, ფინალში გავიდნენ სტურუა და მჭედლიშვილი. დღეს ისინი პირველ პარტიაში შეხვდებიან ერთმანეთს.

ვლადიმერ ადეიშვილი საუკეთესოებს ეძებს

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 20 წლამდე ახალგაზრდა ფალავანთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვლადიმერ ადეიშვილმა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან საქართველოს პირველობაზე თავმოყრილი 114 სპორტსმენიდან გულდასმით შეარჩია საუკეთესონი, რომლებიც ამ ასაკში მსოფლიო პირველობაზე იასპარეზებენ ტაშკენტში აგვისტოში, მანამდე კი ნაკრების კანდიდატები თურქეთის საერთაშორისო ტურნირში გამოვლენ.

საქართველოს პირველობაში უძლიერესის სახელი მოიპოვეს (წონითი კატეგორიების მიხედვით): ალექსანდრე ტაბატაძემ (თბ), დათო ბედინაძემ (აჭ), პაატა ბიწაძემ (თბ), ლაშა ლომაძემ (ოზურგ), ელიზბარ მაჭუტაძემ (აჭ), შალვა გადაბაძემ (თბ), პაატა ზაქარიაძემ და თამაზ დევაძემ (ორივე — აჭარა). პაატა დვალიძემ (თბ).

აპრილის კალენდარი ქართული სპორტის გაზაფხულს გვპირდება

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დამტკიცებულ კალენდარში, მიმდინარე თვეში 51 ღონისძიებაა შეტანილი, რაც ჯერჯერობით სარეკორდოა. ესაა, როგორც შეჯიბრებები, ისე შეკრებები. ცხადია, მისი განუხრელი შესრულება დამოკიდებულია დაფინანსებაზე, სადაც ბიუჯეტის გარდა, სხვა მოსაზიდი თანხები და შემწეობებიც იგულისხმება. 25 შეჯიბრება საერთაშორისოა.



სპორტის და ავეჯის სიდიდეები გამოფენა

ფილმი გიორგი კანდელაკზე

ჟურნალისტები ძალზე იშვიათად თუ ავიღებთ ხელში კალამს კოლეგების ღვაწლის შესაფასებლად. ასეთია ტრადიცია, მაგრამ თუ საბაბი გვეძლევა, დუმილით როგორ შეეხვდებით. აი ახლა, სწორედ ასეთი საბაბი მოგვცა პროფესიით ჟურნალისტმა, ჟელმა ლელოელმა, ხუთი წიგნის ავტორმა ავთანდილ გურასაშვილმა, რომელიც უხმაუროდ, თავაუღებლად, აგერ უკვე რამდენიმე ათეული წელია ქართულ სპორტს, მის პროპაგანდას ემსახურება. ემსახურება კალმით და ფოტოაპარატით. თუმცა იგი თავს პროფესიონალ ფოტორეპორტიორად არ მიიჩნევს, როგორც ჟურნალისტს კარგად ესმის რა მნიშვნელობა აქვს ტექსტის თანმდევ ილუსტრაციას. შემოქმედებით პროცესში დაგროვილი ფირებიდან რჩეული კადრები კი ხშირად დამოუკიდებელ დატვირთვას იძენს, მხატვრული ფოტოგრაფიის ნიმუშად იქცევა. ასეთი ნიმუშები კი ბლომად დაუგროვდა ავთანდილ გურასაშვილს, მოიპოვა არაერთი პრემია შიდა თუ საერთაშორისო ფოტოკონკურსებში.

ყველა პრემირებული და ავტორის მიერ გემოვნებით შერჩეული 70-მდე ფოტონამუშევრის გამოფენა, გუშინწინ გაიხსნა რუსთაველის გამზირზე TMS-ის საგამოფენო გალერეაში, რაშიაც ავტორს დიდი დახმარება გაუწია საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა. საგულისხმოა, რომ ექსპონატებში სიდნეიში გამართულ ოლიმპიურ თამაშებში ჩვენი პრიზიორების გამოსვლების ამსახველი კადრები ჭარბობს.

გამოფენა გახსნა სეოკ-ის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა, რომელმაც ხაზი გაუსვა ავტორის დამსახურებას საქართველოში ოლიმპიური იდეალების პროპაგანდაში. გამოფენას დაესწრო სეოკ-ის სტუმარი, პოლონეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი იანუშ ტოტერა, რომელმაც ასევე მაღალი შეფასება მისცა გამოფენას.

გამოფენა ხვალ დაიხურება.

თ. თომაშვილი

ქართველი კარატისტების პირველი ნაბიჯები ევროპაში

მადრიდიდან დაბრუნდა საქართველოს ეროვნული ნაკრები კიოკუშინ კარატეში. იქ გამართულ ევროპის ჩემპიონატში კონტინენტის 30-მდე ქვეყანა მონაწილეობდა. ფინანსური პრობლემების გამო საქართველოდან მხოლოდ 5 სპორტსმენი იყო წარმოდგენილი. ჩვენი ნაკრების გამგზავრება თვითმფრინავის გაფრენამდე 5 საათით ადრე გადაწყდა. გერმანიის საკონსულომ ყოვლად გაუგებარი მიზეზების გამო შეაფერხა გუნდი. ბოლოს, პარლამენტის წევრის, სპორტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის რომან რურუასა და „მრეწველთა“ ფრაქციის უშუალო ჩარევით მოგვარდა პრობლემა.

20 წელიწადზე მეტია, რაც საქართველოში კიოკუშინ კარატე დაინერგა, მაგრამ ისეთი წარმატება, როგორც ჩვენებს მადრიდში ხვდათ, უბადლოა.

70 კგ-მდე წონითს კატეგორიაში სოსო კუნდუხაშვილმა ვერცხლის მედალი, ხოლო დავით გეჯაძემ (80) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. 80 კგ-ში კიდევ ერთი მედლის მოპოვების შანსი იყო, სადაც ემზარ ნიქაცაძე ასპარეზობდა, მაგრამ გამოუცდელობით წააგო გადამწყვეტი ბრძოლა. ის მხოლოდ IV ადგილს დასჯერდა. ჩვენმა ორივე მედალოსანმა ბულგარელ სპორტსმენებთან წააგეს, რომლებიც შემდეგ ჩემპიონები გახდნენ. მათი წარმატება საეჭვოდ მიიჩნიეს და დოპინგზე გასინჯეს. პასუხიც სამ კვირაში იქნება. თუ დანაშაული დაუმტკიცდათ, სოსო კუნდუხაშვილს ევროპის ჩემპიონის, ხოლო დავით გეჯაძეს ვიცე-ჩემპიონის ტიტული მეინიჭება.

ქართველთა წარმატება საგანგებოდ აღნიშნეს ევროპის კარატეს ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა და სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტებმა. ჩვენმა სპორტსმენებმა სამი ესპანელი გამოთიშეს ასპარეზობიდან, რის გამოც მადრიდის ტელევიზიამ ფედერაციის წარმომადგენლის ზაზა ტოგონიძის ინტერვიუ გადასცა.

აქვე უნდა აღინიშნოს საქართველოს კიოკუშინ კარატეს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ანზორ ჩუბინიძის, ინსტრუქტორების ავთანდილ შენგელიას, ირაკლი დოლაბერიძის, გიორგი ფანცხავას, პაატა აგუმავას შრომა, რომელიც ღირსეულად დაუფასეს შეგირდებმა. ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტს ავთანდილ შენგელიას და გენერალურ მდივანს ირაკლი დოლაბერიძეს ჩემპიონატის მსჯობის შემდეგ, საერთაშორისო კატეგორია მიენიჭათ, რაც ასევე პირველი შემთხვევაა სპორტის ამ სახეობაში ჩვენში.

4 მაისს ვერის ბაღის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში, საქართველოს კიოკუშინ კარატეს ფედერაციისა და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თაოსნობით გაიმართება საერთაშორისო ტურნირი, სადაც წინასწარი მონაცემებით ქართველ კარატისტებთან ერთად აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, საბერძნეთისა და გერმანიის სპორტსმენები იასპარეზებენ.

ხოსო კუნდუხაშვილი (მარცხნივ) ესპანელთან პაექრობისას

ბელგიელები ჯაფარ ბეჯაევს (მარჯვნივ) და ხოსო კუნდუხაშვილი

დაცვას გაუმარჯოს!

„ლოკომოტივზე", წვიმიან ამინდში მოსული მცირერიცხოვანი მაყურებელი არჩევანში არ შემცდარა. „ლოკომოტივი" — „მერანის" პაექრობა დაძაბული გამოდგა. გოლი, მართალია არ გასულა, მაგრამ თამაშს სიმწვავე არ მოჰკლებია.

უკვე დასაწყისში შენგელიას შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ ახლო მანძილიდან ბურთი კარს ააცილა. მასპინძელთა ამ შეტევას მოკლე ხანში ჭინჭარაულმა შორიდან დარტყმით უპასუხა, ლომაია ბურთს ნახტომში დაეუფლა. რამდენიმე დღის წინ „სინათლეზე" გამართული შეხვედრიდან, ეტყობა მერანელებმა სწორი დასკვნები გამოიტანეს, მეტოქეს შუა ხაზი და ტერიტორიული უპირატესობა კი დაუთმეს, მაგრამ ორთაბრძოლებში და თამაშის ტემპში აჰყვნენ. „მერანი" ეპიზოდურად, მაგრამ მწვავედ უტევდა. დაცვაში დავითნიძე და ცქიფურიშვილი მედგრად დაუხვდნენ შენგელია — გოგიჩაიშვილის შეტევებს. ტაიმის ბოლოს ჩინებული კომბინაცია გამოუვიდა „მერანს" — დევიძემ ზუსტი, გრძელი პასით მინაშვილს თავზე „დაასვა" ბურთი, მისი დარტყმული კი რკინიგზელთა კარის ხარიხას მოხვდა. სტუმრებს არც მასპინძლები ჩამორჩნენ, მარტო შენგელიას რამდენიმე ხელსაყრელი ეპიზოდი ჰქონდა, მაგრამ სიზუსტე აკლდა. გოგიჩაიშვილის კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი გიორგიმ თავური დარტყმით კარისკენ გაგზავნა, თუმცა ამჯერადაც არაზუსტად.

მეორე ტაიმში ნაჭყპიამ ორი უმწვავესი შეტევა განმუხტა საკუთარ კართან, ჯერ გოგიჩაიშვილს ჩაუხტა ფეხებში, მატჩის მიწურულს კი ანჩაბაძეს აუღო ახლოდან დარტყმული ბურთი. ამჯერად „ლოკომოტივის" თითქმის მასირებულ შეტევებს „მერანმა" გააზრებული თამამი თამაში დაუპირისპირა. მწვრთნელებმა შემადგენლობაც ოპტიმალური შეარჩიეს და გასვლით შეხვედრაში ქულა დამსახურებულად მოიპოვეს. ფრეს მიუხედავად „ლოკომოტივი" ჩემპიონატის უპირობო ფავორიტია. ეს შეხვედრა იმის დასტურია, რომ მეორე ეტაპზე მედლებისთვის მებრძოლ ექვსეულში „გასასეირნებელი" მატჩები არ იქნება.

მიხეილ საბახტარიშვილი

I ლიგა 3–4 აპრილი. I ტური

I-VI ადგილებისათვის

შუქურა — სამგურალი 0-0
გურია-ლოკ2 — მეტალურგი 3-1
მილანი (წნ) — ცხინვალი 3-0

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
მილანი	1	1	0	0	3-0	24
გურია-ლოკ2	1	1	0	0	3-1	24
შუქურა	1	0	1	0	0-0	21
სამგურალი	1	0	1	0	0-0	21
მეტალურგი	1	0	0	1	1-3	21
ცხინვალი	1	0	0	1	0-3	20

VII-XII ადგილებისთვის

თორი — კოლხეთი (ხ) 1-0
ოკეანე — ივერია 1-1
დინამო (ზ) — თბილისი 0-1

თორი	1	1	0	0	1-0	18
კოლხეთი (ხ)	1	0	0	1	0-1	13
თბილისი	1	1	0	0	1-0	12
დინამო (ზ)	1	0	0	1	0-1	12
ოკეანე	1	0	1	0	1-1	11
ივერია	1	0	1	0	1-1	9

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში — I ტური მეორე ეტაპი

დაძაბულობამ იმატა

მეორე ეტაპის პირველივე ტურში ნათელი გახდა, თითოეულ მატჩს თითოეული გუნდისთვის პრინციპული მნიშვნელობა ექნება. რომ არა რუსთავში მომხდარი საგანგებო შემთხვევა, პირველი ტური მედლებისთვის მებრძოლთა შორისაც და ქვედა ექვსეულშიც დაძაბული იყო. ფოთში „კოლხეთმა" მხოლოდ მატჩის ბოლოს გატანილი ერთი ბურთით აჯობა „ვიტ ჯორჯიას". „ლოკომოტივისა" და ეროვნულ სტადიონზე გამართული შეხვედრები სულაც ფრედ დასრულდა. ყოველივე, ალბათ, ეროვნული ჩემპიონატის უკომპრომისო ხასიათზე მიუთითებს, რაც მისასალმებელია.

* * *

სფფ-ს საგანგებო კომიტეტმა არ დაამტკიცა XII ეროვნული ჩემპიონატის 3 აპრილის მატჩის გორდა (რუსთავი) — სიონი (ბოლნისი) შედეგი. სფფ-ს დელეგატის აზრით, თამაშის მსვლელობა წინასწარ შეთანხმების წააგავდა. ამ აზრს იზიარებენ წამყვანი სპორტული გაზეთების ის ჟურნალისტები, რომლებიც მატჩს დაესწრნენ. იგივე შეხედულება აქვთ ფეხბურთის სპეციალისტებსა და ვეტერანებს, რომლებმაც მატჩის დამთავრებამდე დემონსტრაციულად დატოვეს „ფოლადის" სტადიონი.

სფფ-ს საგანგებო კომიტეტი პარასკევს, 6 აპრილს, 12 საათზე ჩაატარებს სხდომას, რომელზეც მოიწვევს ორივე გუნდის წარმომადგენლებს, მატჩის დელეგატს და მსაჯთა ბრიგადას. საგანგებო კომიტეტის დასკვნა საბოლოო იქნება.

მ. კვარაცხელია, სფფ-ს პრეს-ატაშე

უმაღლესი ლიგა

3–4 აპრილი

I-VI ადგილებისათვის

კოლხეთი1913 — ვიტ ჯორჯია 2-1
ლოკომოტივი — მერანი 0-0
დინამო (თბ) — ტორპედო 1-1

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ლოკომოტივი	1	0	1	0	0-0	29
დინამო (თბ)	1	0	1	0	1-1	25
ტორპედო	1	0	1	0	1-1	25
კოლხ.1913	1	1	0	0	2-1	19
ვიტ ჯორჯია	1	0	0	1	1-2	19
მერანი91	1	0	1	0	0-0	17

VII-XII ადგილებისათვის

დინამო (ბთ)	1	0	1	0	0-0	15
თსუ	1	1	0	0	2-0	13
სიონი	0	0	0	0	0-0	13
დილა	1	0	1	0	0-0	10
გორდა	0	0	0	0	0-0	9
იბერია	1	0	0	1	0-2	2

თსუ — იბერია 2-0
დილა — დინამო (ბთ) 0-0
გორდა — სიონი 3-2(მატჩის შედეგი გაუქმდა)

ლოკომოტივი — მერანი-91 0-0

„ლოკომოტივის" სტადიონი

ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, ცხადაძე, შელია, სალუქვაძე, გილაური (პარამონოვი, 77), ჭიჭვეიშვილი, ანჩაბაძე, დათვაძე (ბაქრაძე, 51), გოგიჩაიშვილი, შენგელია (კაიდარაშვილი, 55).

მერანი: ნაჭყპია, გოგიტაძე, ჭინჭარაული, დავითნიძე, ცქიფურიშვილი, ხუციშვილი (გოდერძიშვილი, 77), მუხინი, დევიძე, ბოლქვაძე (ბაჯელიძე, 46), კვეკვესკირი, მინაშვილი.

გააფრთხილეს: ნაჭყპია.

მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

ებრაელები მოსაგებად ჩამოდიან

ბუშინ ისრაელის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რიხარდ მიოლერ ნილსენმა იმ 18 ფეხბურთელის ვინაობა გამოაცხადა, რომლებიც 22 აპრილს თბილისში გამოემგზავრება და ორი დღის შემდეგ საქართველოს ნაკრებთან ამხანაგურ მატჩს გამართავს.

მეკარეები: ნირ დავიდოვიჩი (მაკაბი, ჰაიფა), შავი ელიმელიხი (ჰაპოელი, თელ-ავივი);

მცველები: შიმონ გერშონი (ჰაპოელი, თელ-ავივი), ადორამ კაიზი, არიკ ბენადო (ორივე – მაკაბი, ჰაიფა), გადი ბრუმო, დედი, ამირ შელა, ბენ-დაინი, ტელ ბანინი (ყველანი – მაკაბი, თელ-ავივი), ორენ ზეიტუნი (ჰაპოელი, ჰაიფა), იდან ტალი (ევერტონი, ინგლისი);

ნახევარმცველები: ოფერ ტალკერი (ჰაპოელი, ჰაიფა), ავი ნიმნი (მაკაბი, თელ-ავივი), ეილ ბერკოვიჩი (ბლექბერნი, ინგლისი), იოსიფ ბენაინი (მაკაბი, ჰაიფა), იოსიფ აბუქსიზი (ბეითარი, იერუსალიმი);

თავდამსხმელები: იანივ კატანი (მაკაბი, ჰაიფა), ალან მიზრახი (ბეითარი, იერუსალიმი).

ადგილობრივ ჟურნალისტებთან საუბარში ებრაელთა გუნდის თავკაცმა განაცხადა: „მატჩი ამხანაგურია, მაგრამ ნაკრების ყველა გამოსვლა საპასუხისმგებლოა, ამიტომ შევეცდებით თბილისში მხოლოდ მოგებაზე ვითამაშოთ. დასახელებულ მოთამაშეებს შეიძლება დაემატონ ჰაიმ რევივო, ნეჯუან გერაიბი, ეს უშუალოდ გამგზავრების წინ გადაწყდება..."

საქართ: ილო-ისრაელის მატჩი თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის ერ ოვნულ სტადიონზე 24 აპრილს 15 საათზე დაიწყება.

ტექნიკური შედეგები

თსუ — იბერია 2–0

თსუ: სტურუა, ხარებავა, ებრალიძე, ბერიანიძე, არეშიძე, ზ. გვაზავა, ზ. მეტრეველი, ახალაძე (ბეროშვილი, 78), მესხი, მერებაშვილი (შოშიაშვილი, 83), ბ. ნოზაძე (ზ. ლაბაძე, 46).

იბერია: ცინაძე, სანიკიძე, ნინუა, ხიზანიშვილი, ამისულაშვილი, მიქელთაძე, გ. ნოზაძე, ძამასაშვილი (კვიციანი, 70), თარგამაძე (გულორდავა, 61), გაგუა, ლ. ხმალაძე (ჩაჩუა, 59).

გოლები: 1-0 ახალაძე (34), 2-0 მეტრეველი (55).

გააფრთხილეს: ამისულაშვილი, ლაბაძე.

მსაჯი: მ. მაისურაძე (თბილისი).

გორდა — სიონი 3–2 (შედეგი გაუქმდა)

გორდა: გუგუნავა, კედელაშვილი, ა. ბურნაძე, გელაძე, ბერიძე, ბექაური, თ. მეტრეველი, გ. მიქაძე (კიტეიშვილი, 53). კ. ალადაშვილი (ბუკია, 77), ჯელაძე, ჯუღელი (სოხაძე, 78).

სიონი: ვოლკოვი, მინდიაშვილი, სიდამონიძე (ასპინძელაშვილი, 46). ირემაშვილი, სოლოღაშვილი (კ. მეტრეველი, 46). ბ. ამბიძე, ბარნოვი, მოსეშვილი (ჯაფარიძე, 50), ისიანი, ბ. შენგელია, გაბისონია.

გოლები: 0-1 მოსეშვილი (36), 0-2 ამბიძე (52), 1-2, 2-2 ალადაშვილი (53, 55), 3-2 ჯუღელი (76).

მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი).

დილა — დინამო 0–0

დილა: სოღოლაშვილი, აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, ზ. გაგნიძე, გ. ჩიტაია (გრიგალაშვილი, 65), ფეზუაშვილი, საფარელიძე (კოტორაშვილი, 63), რევაზიშვილი, მ. თაყაძე, ხორგუაშვილი, ეჯოშვილი (ა. ბოკერია, 72).

დინამო: ჭანტურია, ჩიჩუა, მინდაძე, ო. გველესიანი, მეავანაძე, გელა ქორიძე, ღლონტი, დარჩიძე (ყულეჯიშვილი, 88), მაჭუტაძე, ტუღუში, რომანაძე (აფხაზავა, 90).

გააფრთხილეს: ღლონტი (45), ჭანტურია (89).

მსაჯი: კ. მესხი (ზუგდიდი).

კოლხეთი 1913 — ვიტ ჯორჯია 2–1

კოლხეთი: მ. გვასალია, შალამბერიძე, ქობულაძე, გოროზია, ფანჩულიძე, ნარსია (ჭანტურიძე, 53), ყურაშვილი (ღაღანიძე, 27), კვირკველია, ხუჭუა, ე. გვასალია, მუმლაძე (წიფწიკაძე, 70).

ვიტ ჯორჯია: მერლანი, საჯაია, ჭანკოტაძე, კობიაშვილი, ინწკირველი, დიღმელაშვილი, გ. ყიფიანი (წუწუნავა, 68), გოჩაშვილი (ადამია, 78), გოგობერიშვილი (გოცირიძე, 58), გიორგი ქორიძე, მელქაძე.

გოლები: 1-0 მუმლაძე (25), 1-1 გოცირიძე (82), 2-1 ე. გვასალია (89).

გააფრთხილეს: ქორიძე, მუმლაძე, ჭანტურიძე, საჯაია.

მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი).

წითელი ავბორიგენებს არ სცნობს

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი.

დინამო (თბილისი) — ტორპედო (ქუთაისი) 1–1

დინამო: გრიშიკაშვილი, სვანაძე, შაშიაშვილი, კანდელაკი, მანწკავა, ბურდული, სახვაძე (ი. შენგელია, 86), მაზიაშვილი, იაგორაშვილი (ქარდავა, 82), მიკუჩაძე (აფციაური, 71), ზირაქიშვილი.

ტორპედო: ზოიძე, ქემოკლიძე, ვაშაკიძე, აბრამიძე, თოდუა, დიდავა, გუჩუა (მახვილაძე, 35), კვეტენაძე (ჯინჭარაძე, 40), ასათიანი (ჩხეტიანი, 51), იონანიძე, დ. ჯანაშია.

გოლები: 1-0 იაგორაშვილი (42), 1-1 ჯინჭარაძე (43).

გაფრთხილეს: მანწკავა, ზირაქიშვილი, ზოიძე, თოდუა.

გააძევეს: დ. ყიფიანი (მწვრთნელი).

მსაჯი: ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი).

მეორე ტაიმის შუაწელში მატჩის არბიტრმა თამაში შეაჩერა, ქუთაისელთა სათადარიგო ფეხბურთელების სკამთან მივიდა და წითელი ბარათი უჩვენა სტუმართა გუნდის ნერვებზე მოშლილ ერთ-ერთ მთავარ მწვრთნელს დავით ყიფიანს...

ალეკვების საბაბი ქუთაისელთა გუნდის თავკაცებს ნამდვილად აქვთ — ტორპედოელებს თითქმის თვეა მატჩი არ მოუგიათ: უსახური ფრე რუსთავში, „მერანთან", ახლა კი „დინამოსთან". და ეს მაშინ, როცა კოლექტივს მეტად მაღალი მიზნები აქვს დასახული როგორც ჩემპიონატში, ისე თასის გათამაშებაში. მაშ რაშია საქმე, რატომ არის, რომ გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც თავი მოუყარეს ქვეყნის პრაქტიკულად ყველა უძლიერეს ფეხბურთელს, ვერ აღწევს შედეგს? მიზეზი რამდენიმეა და, ალბათ, თავად მწვრთნელებმა უნდა გასცენ პასუხი ამ შეკითხვაზე. გავბედავთ, და ჩვენს პირად მოსაზრებას მოგახსენებთ: თავი და თავი ქუთაისელთა წარუმატებელ გამოსვლაში არასწორად შერჩეულ სათამაშო ტაქტიკაში უნდა ვეძებოთ. კარგად დააკვირდით „ტორპედოს" ძირითად შემადგენლობას. როდესაც გუნდი სათამაშოდ გამოდის 6-7 მცველით, როგორი დავალებაც უნდა მისცენ მათ მწვრთნელებმა, ეს უარყოფით გავლენას ახდენს შეტევით პოტენციალზე. არადა, ამ დროს სათადარიგოთა სკამს „ხეხავენ" იმედაძე, ბობოხიძე...

ნაკლები საფეხბურთო ავტორიტეტებით დაკომპლექტებულმა „დინამომ" უფრო სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. ახალგაზრდა ფეხბურთელები თამაშობენ მარტივად, ნაკლებად ატარებენ ბურთს, იყენებენ გრძელ გადაცემებს და, რაც მთავარია, მინდორზე ყველა, განურჩევლად ავტორიტეტისა, თავდაუზოგავად ირჯება. აკი მოიმკა კიდევაც გუნდმა შედეგი და ჩემპიონის ტიტულის ერთ-ერთ ძირითად მაძიებელთან ქულები გაიყო. თუ „დინამომ" ასე გააგრძელა, ეგება უფრო მაღალი მიზნებიც დაისახოს.

განვლილ მატჩში მთავარი მოვლენები პირველი ტაიმის მიწურულს განვითარდა. წარმატებას ჯერ მასპინძლებმა მიაღწიეს, როდესაც მარჯვენა ფრთიდან სახიფათოდ შეუტიეს, მარტივად გასცდნენ თოდუას და ხელსაყრელ პოზიციაზე გასულ იაგორაშვილს მიაწოდეს ბურთი. ამ უკანასკნელის შორეული დარტყმა უზადო გამოდგა. მერე კი, თავი გამოიჩინა შეცვლაზე შესულმა ჯინჭარაძემ, რომელმაც კარგად ისარგებლა დინამოელთა მცველებისა და მეკარის შეცდომით. ეს იყო და ეს. მეტი გოლი ამ მატჩში არ გასულა და მთლიანობაში იგი ლოგიკური ანგარიშით დასრულდა.

ჯემალ ჯიპაშვილი

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!
24 აპრილს საქართველოსა და ისრაელის ეროვნულ ნაკრებთან მატჩზე აკრედიტაციისთვის 15 აპრილამდე მიმართეთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეს-ატაშეს მ. კვარაცხელიას. ტ. 25-01-16

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტის მდივანს ზვიად დარასელს დედის გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი 5-6 აპრილს, 16 საათზე. დაკრძალვა 7 აპრილს 15 საათზე. მისამართი: კოსტავას 54, II სადარბაზო, IV სართული.

გაზეთ „ლელოს" რედაქცია ღრმა სამძიმარს უცხადებს ზვიად და ზაზა დ რასელებს დედის გარდაცვალების გამო.

თვალსაზრისი

მოგონებები და ფიქრები თბილისის „დინამოზე“

ამჟამად დიდი აჟიოტაჟი და მითქმა-მოთქმაა თბილისის „დინამოს“ ირგვლივ, რას არ გაიგონებ და წაიკითხავ. ერთი მხარე ამტკიცებს, რომ „დინამოს“ გადარჩენა მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელეწიფება და შეუძლია, ხოლო მეორე მხარე ირწმუნება, რომ უფრო უპრიანი და კანონიერი იქნებოდა, თუ ძმები არველაძეები და მათი მეგობრები გახდებოდნენ „დინამოს“ სრულუფლებიანი აქციონერები და მფლობელები.

შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ საფეხბურთო კლუბი საწარმოდ გადაიქცეს და ის იყოს ერთ-ერთი სახელმწიფო სტრუქტურის (შსს) დაქვემდებარებაში, მით უმეტეს, „საბაზრო ეკონომიკის“ პირობებში კატეგორიულად არ შეიძლება კვლავ უკან დაუბრუნდეთ სოციალისტური სისტემის პრინციპებს.

ალბათ, საჭიროა მოკლე ექსკურსი გავაკეთოთ, თუ როგორ შეიქმნა სპორტსაზოგადოება „დინამო“. ინტერესსმოკლებული არ იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ სპორტსაზოგადოება „დინამო“ დაარსდა 1923 წლის 18 აპრილს, საკავშირო საგანგებო კომისიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს ბაზაზე, ფელიქს ძერჟინსკის ინიციატივით და ხელმძღვანელობით. იმ დროს ძერჟინსკი იყო საგანგებო კომისიის, იგივე ЧК-ს თავმჯდომარე. სწორედ ЧК-დან წარმოიშვა სიტყვა ჩეკისტი, ე.ი. ის, ვინც საგანგებო კომისიის თანამშრომელი იყო, მას ჩეკისტს უწოდებდნენ. შემდგომში მთავარი პოლიტიკური სამმართველო ჯერ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატად გადაკეთდა, ხოლო ბოლოს შინაგან საქმეთა სამინისტროდ. ასე რომ, მაშინდელი საგანგებო კომისიის მემკვიდრე ამჟამინდელი შინაგან საქმეთა სამინისტროა.

1925 წელს თბილისში სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საბჭოსთან შეიქმნა საფეხბურთო კლუბი, რომლის გუნდის ძირითად ჩონჩხს შეადგენდნენ სრულიად ახალგაზრდა ფეხბურთელები: დ. ცომაია, ა. ჟორდანია, ა. ფოჩხუა, მ. ბლაკმანი, ვ. ამბოკაძე, ა. გალპერინი და სხვები. სულ მალე გუნდი ჩამოყვანილი ფეხბურთელებით გაძლიერდა: ნ. ანიკინი, ს. იოკამიდი, ი. პანინი და სხვები.

სხვათა შორის, 2000 წელს თბილისის „დინამოს“ დაარსებიდან 75 წელი შეუსრულდა, მაგრამ ამ საიუბილეო თარიღის აღნიშვნა რატომღაც ყველას გამორჩა.

1927 წელს სპორტსაზოგადოება „დინამოსთან“ ჩამოყალიბდა ჭაბუკთა და რამდენიმე საკლუბო გუნდი. ჭაბუკთა გუნდში, რომელსაც „ნორჩი დინამოელი“ ერქვა, დაიწყეს თავიანთი სპორტული გზა შემდგომში ფეხბურთის ისეთმა განთქმულმა ოსტატებმა, როგორებიც იყვნენ ა. დოროხოვი, შ. შავგულიძე, მ. მინაევი, ვ. ბერძენიშვილი და სხვები.

გავიდა ხანი, 1936 წლის გაზაფხულზე თბილისის დინამოელებმა მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის პირველსავე ჩემპიონატის „ბ“ ჯგუფში, სადაც მათ ადვილად დაიკავეს პირველი ადგილი და უფლება მოიპოვეს „ა“ ჯგუფში გამოსულიყვნენ. „ბ“ ჯგუფში გამარჯვებული გუნდის შემადგენლობა ასეთი იყო: ა. დოროხოვი, შ. შავგულიძე, ე. ნიკოლაიშვილი, გ. გაგუა, ვ. ბერძენიშვილი, ნ. ანიკინი, ი. პანინი, მ. ბერძენიშვილი, ბ, პაიჭაძე, მ. ასლამაზოვი, ნ. სომოვი, ა. აბაშიძე.

იმავე წლის შემოდგომაზე თბილისის „დინამო“ უკვე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის „ა“ ჯგუფში გამოდიოდა, სადაც მისი დებიუტი წარმატებული აღმოჩნდა, დაიკავა რა III საპრიზო ადგილი. აღსანიშნავია, რომ თბილისელებმა მოსკოვში ანგარიშით 1-0 მოუგეს ადგილობრივ „სპარტაკს“, რომელიც სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა. მათ თბილისელები სულ ერთი ქულით ჩამორჩნენ, ხოლო მოსკოვის „დინამო“, გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით, თბილისელებზე წინ გავიდა და მეორე ადგილ[illegible] აღმოჩნდა.

საერთოდ, თბილისის „დინამო“ მუდმივად მონაწილეობდა რა ყველა საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში და საკავშირო თასის გათამაშებაში, იყო მრავალგზის პრიზიორი და თასის ფინალისტი. ბოლოს და ბოლოს ნავსი გატყდა და 1964 წელს თბილისელებმა პირველად მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედლები, ხოლო 1976 წელს მათ პირველად გაიმარჯვეს ფინალში და შინ საბჭოთა კავშირის თასით დაბრუნდნენ. ორი წლის შემდეგ, 1978 წელს დინამოელები მეორედ გახდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები, ხოლო 1979 წელს ასევე მეორედ მოიპოვეს საბჭოთა კავშირის თასი. თბილისის „დინამომ“ გამარჯვებათა მწვერვალს მიაღწია 1981 წლის 13 მაისს, როდესაც ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი მოიპოვა. ეს იყო ბრწყინვალე გამარჯვება, რომელიც ოქროს ასოებითაა ჩაწერილი ქართული ფეხბურთის ისტორიაში.



ქართული ფეხბურთის ორი ლეგენდა: სლავა მეტრეველი (ხოლიან მაისაურში) და მიხეილ მესხი (მარჯვენა ფოტოზე, წინა პლანზე)

ქართულმა ფეხბურთმა ჩვენს სპორტს მისცა შესანიშნავი მეკარეები: ა. დოროხოვი, ვ. მარღანია, ვ. სანაია, ს. კოტრიკაძე და სხვები. უმაღლესი კლასის მცველები და ნახევარმცველები — შ. შავგულიძე, გ. გაგუა, ვ. პანიუკოვი, ვ. ელოშვილი, გ. ჩოხელი, მ. ხურცილავა, რ. ძოძუაშვილი, შ. იამანიძე, გ. სიჭინავა, მ. მაჩაიძე, ა. ჩივაძე, ვ. დარასელია, დ. ყიფიანი... მაგრამ ჩვენი ფეხბურთის მშვენებას და სიამაყეს ყოველთვის წარმოადგენდნენ შეტევის დიდოსტატები, როგორებიც იყვნენ: ბ. პაიჭაძე, გ. ჯეჯელავა, ა. ღოღობერიძე, ა. ჭკუასელი, მ. მესხი, ს. მეტრეველი, ვ. ბარქაია, რ. შენგელია და სხვები, რომლებიც გამოირჩეოდნენ სწრაფი გარღვევებით, ფინტებით, იმპროვიზაციით, არტისტიზმით და ა.შ. შემთხვევითი არ იყო, რომ თბილისელები ძალზე ხშირად ფლობდნენ „საუკეთესო ბომბარდირის“ და გ. ფედოტოვის პრიზებს, ყველაზე მეტი გატანილი გოლისათვის.

ქართველ ფეხბურთელებს ყოველთვის ახასიათებდათ მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობა, უზადო ტექნიკა, ამოუწურავი ფანტაზია, ნიჭიერება, კეთილშობილება და რაინდობა. სწორედ ამის გამო იყო, რომ მათ ადრე არც თუ უსაფუძვლოდ უწოდებდნენ „პატარა ურუგვაელებს“. როგორც ვიცით, ურუგვაის ნაკრები ორჯერ — 1930 და 1950 წ.წ. გახდნენ მსოფლიო ჩემპიონები. გავიხსენოთ აგრეთვე, თუ როგორ უწოდეს ბორის პაიჭაძეს „ფეხბურთის კარუზო“, ხოლო სლავა მეტრეველს და მიხეილ მესხს საბჭოთა ნაკრების „ქართული ფრთები.“

ალბათ, ზოგიერთებს ახსოვთ 1961 წელი, როდესაც მიშა მესხი გამოდიოდა საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში და მან ითამაშა ბუენოს-აირესში არგენტინის ნაკრების წინააღმდეგ. მასპინძელთა ნაკრების კაპიტანმა, მსოფლიოში იმ დროს განთქმულმა მცველმა სიმეონემ თამაშის წინ, ოფიციალურად განაცხადა, რომ ის მიშა მესხს ფეხს არ გაანძრევინებდა და თამაშს არგენტინის ნაკრები მოიგებდა. მაგრამ, პირიქით მოხდა, მიშა მესხმა მინდორზე ისეთი კორიანტელი დააყენა, რომ მას არა მარტო სიმეონე დასდევდა ფეხდაფეხ, არამედ არგენტინის ნაკრების დანარჩენი მცველებიც და მათ მაინ[illegible]ვერ შეძლეს მიშას შეჩერება. სწორ[illegible]ად მისი უბრწყინ[illegible]ვალესი თამაშის წყალობით, ეს მატჩი საბჭოთა ნაკრებმა 2-1 მოიგო. ამ გამარჯვებამ მნიშვნელოვნად აამაღლა საბჭოთა ნაკრების ავტორიტეტი. იმჟამინდელი არგენტინის პრესა აჭრელებული იყო მ. მესხის ფოტოსურათებით, სათამაშო კადრებით, განსაკუთრებით კი მიშას განუმეორებელი ფინტებით, რომლებსაც დღემდე ვერავინ აკეთებს. ერთხმად აღნიშნავდნენ მის ფილიგრანულ ტექნიკას, ვირტუოზობას და სისწრაფეს, თამაშის მაღალ კულტურას და ინტელექტუალობას. არგენტინელებმა მიშა მესხი 50 მილიონ პესოდ შეაფასეს. არ დაგავიწყდეთ, რომ იმ დროს ასე ძვირად მსოფლიოს არც ერთი ფეხბურთელი არ შეუფასებიათ. აქვე შედარებისათვის დავუმატებთ, რომ თუ მადრიდის „რეალმა“ ახლახან ფიგუ 57 მილიონ დოლარად შეიძინა, მაშინ ჩვენი ღრმა რწმენით, „საბჭოთა გარინჩად“ წოდებული მიშა მესხი გაცილებით უფრო მეტი ეღირებოდა.

ფეხბურთის ნებისმიერი გულშემატკივარი, ვინც ევროპის ან მსოფლიო მასშტაბის თამაშებს თვალს ადევნებს, დაგვემოწმება, თუ როგორ ამაღლდა მსაჯობის საერთო ხარისხი, კლასი, კორექტულობა და ობიექტურობა, ასეთი მსაჯობის მნახველს, უნებურად გაახსენდება თუ რა პირობებში უხდებოდათ თამაში ჩვენს ლეგენდარულ ფეხბურთელებს — ბორის პაიჭაძეს, ავთანდილ ღოღობერიძეს, მიშა მესხს, სლავა მეტრეველს, დავით ყიფიანს, რამაზ შენგელიას და სხვებს, რომლებზედაც მოწინააღმდეგეები ნადირობდნენ, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით. უხეში თამაშით განსაკუთრებით რუსი ფეხბურთელები გამოირჩეოდნენ, რომელსაც ემატებოდა შოვინისტური გამოხტომები და ფსიქოლოგიური შეტევები, მსაჯები კი თითქოს ვერაფერს ხედავდნენ და არაფერი ესმოდათ. ქართველი ფეხბურთელები მათ უძლებდნენ და ბოლომდე თამაშობდნენ. დიახ, ყველაფერი ასე ხდებოდა, დრო იყო ასეთი...

ადრე თბილისის „დინამო“, იყო რა ქართული ფეხბურთის ფლაგმანი და ფაქტიურად საქართველოს ნაკრებს წარმოადგენდა, უგებდა სოფიის ნაკრებს (იგივე ბულგარეთის ნაკრებს), ბუქარესტის ნაკრებს (იგივე რუმინეთის ნაკრებს), ვარშავის ნაკრებს (იგივე პოლონეთის ნაკრებს), უკრაინის ნაკრებს და სხვებს, ხოლო მოსკოვის ნაკრებთან (იგივე საბჭოთა ნაკრებთან) თანაბარი ძალით თამაშობდა...

სულ ახლახან, საქართველოს ნაკრებმა რუმინეთის ნაკრებთან 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, რომელიც თბილისში გაიმართა, სრული ფიასკო განიცადა. ჩვენი ფეხბურთელები თამაშობდნენ ძალზე დუნედ, მოშვებულად, უღიმღამოდ და, რაც მთავარია, ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ისინი მინდორზე მხოლოდ მოვალეობის მოსახდელად გამოვიდნენ და არა თამაშის მოსაგებად. ჩვენი გუნდის თითქმის ყველა რგოლი ძალზე სუსტად გამოიყურებოდა, განსაკუთრებით „გამოირჩეოდა“ ნახევარმცველების თამაში. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ნაკრების ბოლო გამოსვლებისას არ იგრძნობა ერთსულოვნება, ერთი აზრი, ტაქტიკური სიახლე და, რაც მთავარია, ერთი წარმმართველი მესაჭე-ხელმძღვანელის როლი. რაც შეეხება რუმინეთის ნაკრებს, ის არცთუ ისე ძლიერი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს. მათ ნაკრებში ჩვენ ვერ ვიხილეთ ისეთი ძალის ფეხბურთელები, როგორებიც იყვნენ გ. ჰაჯი, ფ. რადუზოუ, დ. ლუპუ, ი. ლუპესკუ, ვ. პოპესკუ, მ. ლაკატუში და სხვები.

ამ წაგებით ჩვენმა ნაკრებმა, ფაქტიურად, ყოველგვარი იმედი გადაგვიწურა, რომ მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე...

იყო დრო, როდესაც საქართველოში სასტიკად დევნიდნენ ე.წ. „უშრომელი შემოსავლით“ გამდიდრებულ ხალხს, მათ მიმართ ხორციელდებოდა სისხლის სამართლის საქმეები, დევნა და სასამართლოს განაჩენით ისინი მკაცრად ისჯებოდნენ. მაგრამ სწორედ ასეთ პირობებში ზოგიერთი „იტაკაქვეშა საქმოსანი“ მაინც პოულობდა საშუალებას და მატერიალურ დახმარებას უწევდა ჩვენს ფეხბურთელებს, რომ მათ ეთამაშათ, მოეპოვებინათ გამარჯვებები და შესაბამისად სახელი გაეთქვათ საქართველოსთვის.

ამჟამად, როდესაც საქართველოში თავისუფლადაა განვითარებული „საბაზრო ეკონომიკა“, დაშვებულია კომერციული საქმიანობა, კერძო მეწარმეობა და ბიზნესი, ალბათ, გვყავს საკუთარი მულტმილიონერები (ან მილიარდერები), უნდა მოხდეს მათი სრული ლეგალიზაცია, რომ ხალხმა იცოდეს მათი გვარები, როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მილიარდერები — ტედ ტერნერი, სტივენ სპილბერგი, ჯორჯ სოროსი, ბერნარ ტაპი, სილვიო ბერლუსკონი, ბორის ბერეზოვსკი, ვლადიმერ გუსინსკი და სხვები. აგრეთვე ვიცოდით, რომ აშშ-ის ფეხბურთის ეროვნულ ნაკრებს სპონსორობას უწევდნენ მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ლუდის ფირმა „ბუდვაიზერი“, სპორტული ტანსაცმლის და ინვენტარის ფირმა „ადიდასი“ და ბანანის ფირმა „ჩიკიტა“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ცნობილ ბიზნესმენებს მოვუწოდებთ: — „ბატონებო! დროა დაიწყოთ საქველმოქმედო საქმიანობა და მიხედოთ ქართულ ფეხბურთს, სანამ გვიან არ არის. თქვენ, როგორც მომავალმა სპონსორებმა და საფეხბურთო კლუბების მეპატრონეებმა, უნდა იცოდეთ და ირწმუნოთ, რომ თქვენს მიერ ფეხბურთში დაბანდებული და დახარჯული ფული შემდგომში ასმაგად აგინაზღაურდებათ, რადგან კარგი ფეხბურთის ბრწყინვალე შემსრულებლების, იგივე საფეხბურთო ვარსკვლავების ხილვის შედეგად სტადიონებზე მკვეთრად გაიზრდება გულშემატკივარმაყურებელთა რაოდენობა, შესაბამისად გაიზრდება შემოსავალი და, რაც მთავარია, გაჩნდება ხალისი და რწმენა მომავლისადმი. ყოველივე ამისათვის კი ღირს გაწიოთ რისკი და დახარჯოთ ფული!“

ადრე ვიუწყებოდით, რომ პოპულარულმა ბიზნესმენმა, ფირმა „კოკა-კოლას“ პრეზიდენტმა თემურ ჭყონიამ გადაწყვიტა ბოლნისის „სიონის“ მეპატრონეობა, რომ მას სურდა თავის მშობლიურ რაიონს ჰყოლოდა ძლიერი საფეხბურთო კლუბი, რომელიც უზრუნველყოფილი იქნებოდა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, და ამ მიზნის მისაღწევად, ის მზადაა, რომ გუნდი სერიოზულად დააფინანსოს (გაზეთი „თბილისი“ №99. 1999 წლის 4 სექტემბერი). მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი ეს დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. ბევრს კი ეგონა, რომ თემურ ჭყონია საქველმოქმედო საქმეში „პირველი მერცხალი“ იქნებოდა და მას მიბაძავდნენ სხვა მსხვილი მეწარმე-ბიზნესმენები, რომ მდიდარი სპონსორ-მეპატრონეების გარეშე არც დანარჩენი საფეხბურთო კლუბები დარჩებოდნენ. მიუხედავად ამისა, მომავლისადმი მაინც ოპტიმისტურად ვართ განწყობილი და გვჯერა, რომ შორს არ არის ის დრო, როცა საქართველოს ხელისუფლება ფეხბურთისადმი გამოიჩენს ერთგულებას და არ მოაკლებს ხელშეწყობას, რათა ერთხელ და საბოლოოდ გადაწყდეს ქართული ფეხბურთის საერთო განვითარების და მისი მსოფლიო სტანდარტების დონეზე აყვანის საკითხები.

ბურამ ჩხიკვაძე

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ფეხბურთელები ყალბი პასპორტებისთვის დასაჯეს

კოლუმბიელი ფარიდ მონდრაგონი, არგენტინელი ემილიანო რომეი და ჩილელი პაბლო კონტრერასი, რომლებიც საფრანგეთის საფეხბურთო კლუბებში გამოდიოდნენ და ევროკავშირის ყალბი პასპორტები ჰქონდათ, შესაბამისად 300, 200 და 150 ათასი ფრანკით დაჯარიმდნენ. ამასთან, პარიზის სასამართლომ ამ ფეხბურთელებს ორ-ორი წლით დისკვალიფიკაცია გამოუტანა.

თუ მოინვევენ...

როგორც ინგლისური „მანჩესტერ სიტის“ ნახევარმცველმა ანდრეი კანჩელსკისმა განაცხადა, იგი სიამოვნებით დაბრუნდება რუსეთის ნაკრებში, თუკი, რა თქმა უნდა, მწვრთნელები მოიწვევენ.

საინტერესოა, რომ ბოლოს კანჩელსკისმა რუსეთის ნაკრებში 1998 წელს ითამაშა.

თუ პრეზიდენტს არ გადააყენებენ

უკვე, 7 ცნობილი სომხური კლუბი აცხადებს უარს ქვეყნის ჩემპიონატში თამაშს, თუ სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს არ გადააყენებენ.

მათთან უშედეგო მოლაპარაკების გამო ჩემპიონატი, რომელიც ჯერ კიდევ 18 მარტს უნდა დაწყებულიყო, აპრილისათვის გადაიდო.

სად მოუნახონ მხოლოდ ძლიერი კლუბები?

ფრანჩესკო ტოტი, თქმა არ უნდა, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფეხბურთელია იტალიაში, მაგრამ ყველას აქვს თავისი „ხუშტური“. როცა ტოტი ძლიერი კლუბების წინააღმდეგ თამაშობს, მის ყურებას არაფერი სჯობს. მაგრამ სულ ძლიერი კლუბები სად მოუყენონ? როცა უძლ[illegible]ძნელია მეტოქეები ჰყავს, ტოტი უქიფოდ არის და თამაშის განწყობილება ნამდვილად არა აქვს.

ცალკეული ნაგებები ესპანეთის პირველობაზე? ეს არაფერია...

... ასე ფიქრობს მადრიდის „რეალის“ მთავარი მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე, რომლის პობულარობამ ესპანეთში ახლა მწვერვალს მიაღწია, შარშანდლამდე კი, ასე გასინჯეთ, ფეხბურთის სამყაროში დიდი ავტორიტეტით არ სარგებლობდა.

— რა არის ცალკეული წაგებები ესპანეთის პირველობაზე, რომელიც მხოლოდ აფიზლებს გუნდს, რომლის მიზანია ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება და, რა თქმა უნდა, ქვეყნის ჩემპიონობის მოპოვებაც.

საშუალო ასაკი?

მოსკოვის „სპარტაკის“ მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა ჟურნალისტებს უთხრა

— ხდება, როცა 18 წლის მოთამაშეს 40 წლის ფეხბურთელის სული აქვს, ზოგჯერ კი 40 წლის ვეტერანს 18 წლის მოთამაშის სული.

ამის საპირისპიროდ ჟურნალისტებს ასეთი კითხვა გაუჩნდათ. როგორი „საშუალო ასაკი“ ჰქონდათ მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელებს, ასე უიმედოდ რომ აგებდნენ ჩემპიონთა ლიგის მატჩებს?

29 მილიონი 18 წლის ჭაბუკში

„რომამ“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა „ბარის“ 18 წლის თავდამსხმელ ანტონიო კასანოსთან, რომელშიც 29 მილიონი დოლარი გადაიხადა. კასანო უურადღებას ჯერ კიდევ შარშანდელ სეზონში იქცევდა და იტალიელმა ექსპერტებმა ერთხმად მიიჩნიეს დიდი ტალანტის მქონე ფორვარდად. ახლა ეს ჭაბუკი უკვე მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულ ფეხბურთელების ათეულში შევიდა.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ჩემპიონთა ლიგა

მიმოხილვა
პირველი მეოთხედ-ფინალური მატჩები

ფაჩიხი და ჟარდელი „გალას“ იმედს უბრუნებენ

გალათასარაი (თურქეთი) — რეალი (ესპანეთი) 3–2

გალათასარაი: ტაფარელი, კ. ბიულენტი, პოპესკუ, ოკანი, სუათი (ა. ბიულენტი, 46), ჟარდელი, ჰაჯი, ხასანი, უმითი, კაპონე (ფათიხი, 46), ერგიუნი.

რეალი: კასილიასი, მიჩელ სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო, ელგერა, რაული, მაკმანამანი (სოლარი, 89), მორიენტესი (გუტი, 69), ფიგუ, კარანკა, მაკელელე (სელადესი, 62).

გოლები: 0-1 ელგერა (33), 0-2 მაკელელე (43), 1-2 უმითი (47, პენ.), 2-2 ხასანი (66), 3-2 ჟარდელი (75).

გააფრთხილეს: ოკანი, პოპესკუ, მიჩელ სალგადო.

მატჩი დაბალ ტემპში დაიწყო. მასპინძლები სულაც არ ჩქარობდნენ იერიში მიეტანათ სამეფო კლუბის კარზე, ვინაიდან ესპანელთა სწრაფ კონტრშეტევების ეშინოდათ. ამ პერიოდში დასამახსოვრებელი იყო მხოლოდ გეორგე ჰაჯის ორი უზუსტო შორეული დარტყმა. ამაზე მადრიდელებმა რობერტო კარლოსის „გასროლით“ უპასუხეს, რომელიც ტაფარელმა ძლივს მოიგერია კუთხურზე.

როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრა თურქთა ტერიტორიული უპირატესობით მიმდინარეობდა, მათი თავდამსხმელები რამდენიმეჯერ სახიფათოდ შეიჭრნენ მეტოქის საჯარიმო მოედანში, პენალტის დანიშვნასაც ითხოვდნენ, მაგრამ იტალიელი მსაჯი პიერლუიჯი კოლინა „ამ ანკესზე არ წამოეგო“.

ასეთ სიტუაციაში „რეალის“ პირველი გოლი არალოგიკურად მოსჩანდა. ერთ-ერთი იშვიათი კონტრშეტევაში ესპანელებმა საჯარიმო დარტყმის უფლება მოიპოვეს. ბურთთან ლუიშ ფიგუ მივიდა. შარშანდელი წლის მსოფლიოს რჩეულმა ფეხბურთელმა ბურთი საჯარიმო მოედანში ჩაჰკიდა, რომელსაც ბრწყინვალე თავური დაუხვედრა ივან ელგერამ.

ცხადია, მასპინძლებმა ანგარიშის გასათანაბრებლად დიდი ძალებით შეუტიეს მეტოქეს, მაგრამ მალე მიიღეს მეორე ბურთი საკუთარ კარში: მაკელელემ რაულის მშვენიერი პასი გოლად აქცია.

მეორე ტაიმი თურქთა დიდი უპირატესობით წარიმართა. იერო საკუთარ საჯარიმოში სარმით გაუმასპინძლდა ხასანს და უმითმა პენალტით ანგარიშში სხვაობა შეამცირა. მასპინძლებმა კიდევ უფრო უმატეს ტემპს, რომელსაც მადრიდელმა მცველებმა აშკარად ვერ გაუძლეს. მალე ხასანმა ანგარიშიც გაათანაბრა: შეცვლაზე შესულმა ფატიხმა მარჯვენა ფრთაზე გარღვევა განახორციელა, შემდეგ მშვენიერი პასით მეკარესთან პირისპირ დატოვა ხასანი — 2-2.

მატჩის დამთავრებას 15 წუთი აკლდა, როდესაც „გალათასარაი“ წინ გავიდა: თურქთა ფლანგური გარღვევა ჟარდელმა გოლად აქცია. ამის შემდეგ დემორალიზებული ესპანელების კარში კიდევ ერთი ბურთი აღმოჩნდა, მაგრამ კოლინამ თამაშგარე მდგომარეობა აღნიშნა.

ჟარდელის გოლი

„ბაიერნი“ რევანშთან ახლოსაა

მანჩ. იუნაიტედი (ინგლისი) — ბაიერნი (გერმანია) 0–1

მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, სტამი, ბრაუნი, სილვესტრი, ბექჰემი, კინი, სქოულზი, გიგზი, სოლსკიაერი, კოული.

ბაიერნი: კანი, კუფური, ანდერსონი, ლინკე, სალიხამიჯიჩი, იერემისი, ეფენბერგი, ლიზარაზუ, იანკერი (ციკლერი, 65), ელბერი, შოლი (პაულო სერჟიო, 77).

გოლი: პაულო სერჟიო (86).

გააფრთხილეს: ბექჰემი, სალიხამიჯიჩი, ეფენბერგი, ლიზარაზუ.

ეფენბერგისა და ბექჰემის დუელი

როგორც ეტყობა, გერმანული კლუბი ახლოსაა რევანში აიღოს 1999 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში განცდილი მარცხისათვის. ორი კვირის შემდეგ განმეორებით მატჩში ინგლისელებმა მხოლოდ მოგებაზე უნდა ითამაშონ.

როგორც მოსალოდნელი იყო, მატჩი ინგლისელთა შეტევებით დაიწყო. ისინი, ძირითადში, მარცხენა ფლანგიდან უტევდნენ, სადაც გიგზი აქტიურობდა. გერმანელები დიდი ძალებით იცავდნენ თავს, საკუთარ საჯარიმო მოედანში ხშირად იანკერიც ჩადიოდა.

მატჩის მეორე ტაიმში გერმანელებმა თანდათან გამოასწორეს მდგომარეობა და რამდენიმეჯერ სახიფათოდ შეუტიეს ინგლისელთა კარს. ძალიან ძნელი ბურთის მოგერიება მოუხდა ბარტეზის — მან ეფენბერგის ყუმბარისებური დარტყმა კუთხურზე გაგზავნა.

ყველაფერი გერმანელთა მწვრთნელის ოტმარ ჰიტცფელდის იღბლიანმა შეცვლამ გადაწყვიტა. ბრაზილიელმა პაულო სერჟიომ გამარჯვების გოლი გაიტანა მატჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე.

ესპანელებს მხოლოდ სასწაული იხსნის

ლიდსი (ინგლისი) — დეპორტივო (ესპანეთი) 3–0

ლიდსი: მარტინი, ჰარტი, დაკური, ვიდუკა, კიუელი (უილკოკსი, 84), ბოიერი, სმიტი, მილნი, მატეო, ბეტი, რიო ფერდინანდი.

დეპორტივო: მოლინა, პაბლო, რომერო, ნაიბეტი, სესარი, მაკაი, ჯალმინია, ფრანი (პანდიანი, 71), სკალონი (ტრისტანი, 71), ემერსონი, დუშერი (ვალერონი, 54).

გოლები: ჰარტი (26), სმიტი (51), რიო ფერდინანდი (66).

გააფრთხილეს: ემერსონი, მატეო, ბეტი, დაკური.

სმიტის (№11) აგრესიულობა გამორჩეული იყო

მეორე ტაიმი „დეპორტივოს“ შეტევებით დაიწყო, მაგრამ მასპინძლების პირველივე კონტრშეტევა მისთვის წარუმატებელი გამოდგა — ჰარტის ჩამოწოდებულს სმიტმა მშვენიერი თავური დაახვედრა. ამით სტუმრების განადგურება არ დასრულებულა: მოლინასა და მცველების შეუთანხმებელი მოქმედებით კარგად ისარგებლა რიო ფერდინანდმა და ანგარიში 3-0 გახადა.

„ლიდსმა“ რადებეს ნაცვლად ფერდინანდი დააყენა და ამ სიახლემ აშკარად გაამართლა. როგორც მოსალოდნელი იყო, ესპანელებმა გასვლითი მატჩის მოდელი გამოიყენეს და თავდასხმაში მხოლოდ ჰოლანდიელ მაკის მიუჩინეს ადგილი.

ინიციატივას თავიდანვე მასპინძლები დაეუფლნენ. „ლიდსი“ აშკარად სჯობდა ესპანელებს სისწრაფეში, ხისტადაც თამაშობდა. სისტემატურმა პრესინგმა სტუმრების გუნდური თამაში არია. საერთოდ არ ჩანდა მინდორზე „დეპორტივოს“ ლიდერი ჯალმინია.

ანგარიში პირველი ტაიმის შუაწელში გაიხსნა, როდესაც სმიტმა ლამაზი დრიბლინგით გვერდი აუარა სესარს. ესპანელს სხვა არაფერი დარჩენოდა, მეტოქეს სარმა გამოსდო. საჯარიმო დარტყმა ბრწყინვალედ შეასრულა ჰარტმა, 1-0. ესპანელებმა სცადეს კონტრთამაში აეწყოთ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, უფრო მეტიც, რამდენიმეჯერ სასწაულად გადაურჩნენ გოლს.

მეთოფეებმა ორ ხუთში მოიგეს

არსენალი (ინგლისი) — ვალენსია (ესპანეთი) 2–1

არსენალი: სიმენი, დიკსონი, კიოუნი, ადამსი, კოული, ოუნგბერგი (ვილტორდი, 46), ვიეირა, პარლორი, პირესი, ანრი, კანუ (ლაურენი, 84).

ვალენსია: კანისარესი, ანგლომა, აიალა, პელგრინო, კარბონი, მენდიეტა (ვისენტე, 89), ბარახა, კილი გონსალესი, აიმარი (ანგულო, 68), კარიუ, ხუან სანჩესი.

გოლები: 0-1 აიალა (41), 1-1 ანრი (58), 2-1 პარლორი (60)

გააფრთხილეს: ბარახა, აიალა, პირესი, კილი, გონსალესი

„არსენალმა“ თავიდანვე მძაფრად შეუტია, ხოლო სტუმრებმა კონტრშეტევებზე ააგეს თამაში და ამან გაუმართლათ. ჯერ სანჩესმა ვერ გამოიყენა გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა, როცა სანჩესმა ახლო მანძილიდან არაზუსტად დაარტყა, მერე მეთოფეების მეკარემ ორჯერ იხსნა გუნდი აშკარა გოლისაგან. და მაინც, სამართალმა პური ჭამა — აიალამ ყუმბარისებური დარტყმით ანგარიში გახსნა.

ანრის (№9 მარჯვნივ) თანამდევი გოლი

მეორე ტაიმში ინგლისელებმა ხელთ იგდეს უპირატესობა და ორი წუთში ორჯერ აიღეს კანისარესის კარი: ჯერ პირესის გადაცემა ანრიმ გარდასახა გოლად, მერე პარლორმა განახორციელა სწრაფი რეიდი, რომელიც „ცხრიანში“ დარტყმით დაასრულა. აქვე მასპინძლებს კიდევ ერთხელ შეეძლოთ წარმატების მიღწევა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულ ანრის ანგლომა წამოეპარა და ხიფათი გაუნეიტრალა.

ახალი საგრანსფერო სისტემის მნიშვნელოვანი დებულები

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით იმის შესახებ, რომ უეფამ, ფიფამ და ევროსაბჭომ მიაღწიეს კომპრომისს ახალი სატრანსფერო სისტემის გამომუშავების საკითხში. აი ამ დოკუმენტის უმნიშვნელოვანესი დებულებები:

— კლუბს ახალგაზრდა მოთამაშეებისათვის აუცილებელი კომპენსაცია უნდა გადაუხადონ.

— ჩამოყალიბდა მკაცრად განსაზღვრული მექანიზმი მოთამაშის გაყიდვის შედეგად მიღებული თანხის განაწილებისათვის. ეს თანხა უნდა განაწილდეს ყველა იმ კლუბზე, რომლებმაც ფეხბურთელი აღზარდეს. აქ სამოყვარულო გუნდებიც იგულისხმება.

— სეზონში სულ ერთი სატრანსფერო პერიოდი იქნება ერთი პატარა „ფანჯრით“. ერთი სეზონის განმავლობაში ფეხბურთელს სულ ერთი კლუბის გამოცვლის ნება ეძლევა.

— კონტრაქტის მინიმალური ვადაა ერთი წელი, მაქსიმალური — 5 წელი.

— კონტრაქტის ცალმხრივი დარღვევა მხოლოდ სეზონის ბოლოს არის შესაძლებელი.

— შემოღებულია ე.წ. „კონტრაქტის დაცვა“ 28 წლის ფეხბურთელისათვის სეზონში სამჯერ, 28 წელზე უხნესებისათვის კი სეზონში ორჯერ.

— განსაზღვრულია ფინანსური კომპენსაცია კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში როგორც კლუბის, ისე მოთამაშის მიერ.

— გამომუშავებულია სანქციების სისტემა კლუბების, მოთამაშეებისა და აგენტების მიმართ, როცა კონტრაქტი ყოველგვარი მიზეზის გარეშე ირღვევა ე.წ. „დაცულ პერიოდში“.

— შეიქმნება საარბიტრაჟო კომიტეტი.

ეს სისტემა 2001 — 2002 წლების სეზონში 5 ივნისიდან შედის ძალაში.

კაპელოს ჰატარა საიდუმლოება

უტყუარი ამბავია — კვალიფიციური მწვრთნელის ხელი გუნდს უფრო მეორე ტაიმში ეტყობა. იმ 12-15 წუთს, რომელიც ფეხბურთელების შესვენებისთვისაა განკუთვნილი, იგი მაქსიმალურად იყენებს თამაშში საჭირო კორექტივების შესატანად. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა იტალიური „რომას“ თავკაცი ფაბიო კაპელო, რომლის გუნდიც ამჟამად დამაჯერებლად მიიწევს სკუდეტოსაკენ. წლევანდელ გათამაშებაში რომაელებმა 21 ქულა აიღეს სწორედ მეორე ტაიმის უკეთ წარმართვის გზით, მაინც, რას ეუბნება ასეთს კაპელო თავის ფეხბურთელებს შესვენებისას? „ეს ჩემი საიდუმლოებაა, ერთს კი გეტყვით, ამ დროს მოთამაშეები კი არ უნდა დატუქსო, პირიქით, რწმენა ჩაუნერგო, დაარწმუნო, რომ მათ ძალა შესწევთ სასიკეთოდ შემოაბრუნონ მატჩის მსვლელობა“.

იქნებ კაპელოს ამ სიტყვებით შემდგომში იხელმძღვანელონ საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმაც?

კლოზე — ახალი სუპერფორვარდი?

გერმანულმა გაზეთმა „ბილდმა“ მიროსლავ კლოზეს ახალი სუპერფორვარდი შეარქვა მას შემდეგ, რაც „კაიზერსლაუტერნის“ ამ 22 წლის ფეხბურთელმა ბრწყინვალედ ჩაატარა ბოლო ორი შეხვედრა ქვეყნის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში, მან ორი გადამწყვეტი გოლი გაიტანა და გუნდს 6 ქულა მოუტანა.

ნაკრების მწვრთნელმა რუდი ფიოლერმა პირველად ეს ფეხბურთელი ალბანეთის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში გამოიყვანა, თანაც მაშინ, როდესაც ალბანელები ძალიან ახლოს იყვნენ საპატიო შედეგის მისაღწევად, მაგრამ დებიუტანტმა იყოჩაღა. იგივე განმეორდა ათენში, ბერძნების წინააღმდეგ: კლოზე მაშინ ჩაერთო თამაშში, როცა ანგარიში 2-2 იყო, თანაც სტუმრები კაცნაკლულნი თამაშობდნენ, ვინაიდან მინდვრიდან გაეძევეს ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა — სებასტიან დაისლერი.

შეცვლაზე შემოსულმა კლოზემ, ისევე როგორც წინა თამაშში ულამაზესი გოლი გაიტანა თავით. ამან ბერძნები წელში გატეხა და გერმანელებმა მატჩის მიწურულს კიდევ ერთხელ მიაღწიეს წარმატებას — 4-2.

ახლა გერმანიაში ყველას კლოზეს სახელი აკერია პირზე. თავად „კაიზერ ფრანცმა“ მაღალი შეფასება მისცა მის თამაშს: „კლოზემ წარმოაჩინა თავი, როგორც გოლებზე „მონადირემ“. იგი აუცილებლად დამკვიდრდება ნაკრებში. მისი სახით გუნდმა შესანიშნავი ფორვარდი შეიძინა.“ თავად დებიუტანტი თავმდაბალია: „მე მხოლოდ ახლა შევიგრძენი, რას ნიშნავს მოირგო ქვეყნის უპირველესი გუნდის მაისური და ჯერ კიდევ დასამტკიცებელი მაქვს, რომ ღირსი ვარ ვითამაშო ნაკრებში. ჩემი ოცნებაა იაპონია-კორეის ფინალურ ტურნირში გამოვიდე“.


შეტევაზეა კლოზე

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ფიოლერი: მოთამაშეები ნაკრებისაკენ სიამოვნებით მოისწრაფიან

ევრობის 2000 წლის ჩემპიონატში გერმანიის ნაკრების ნამდვილ კრახს მისი ხელმძღვანელობის სრული განახლება მოჰყვა. შარშანდელი აგვისტოდან მას სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი ფეხბურთელი, მსოფლიოს სამი ჩემპიონატის მონაწილე (90 მატჩი ნაკრებში), რუდი ფიოლერი.
გთავაზობთ ნაწყვეტებს რუდი ფიოლერის ვრცელი ინტერვიუდან, რომელიც გერმანულმა ჟურნალმა „შპიგელმა" გამოაქვეყნა. იგი აღებულია გერმანელების საფრანგეთის ნაკრებთან ამხანაგური მატჩამდე (0-1).

● ***ჰერ ფიოლერ, ცოტა სარისკო ხომ არ იყო რამდენადმე სახე შეცვლილი გერმანიის ნაკრებისათვის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებთან — ფრანგებთან ამხანაგური მატჩი?***

— რა თქმა უნდა, ფრანგები ბურთს რამდენადმე უფრო ელეგანტურად ფლობენ. მაგრამ არც ჩვენ გვაკლია სუსტი შემადგენლობა, უკვე რაღაცას წარმოვადგენთ.

● ***ბევრი დასცინის გერმანულ დაბავშვებულ და პრიმიტიულ ფეხბურთს. რა უნდა გაეწყოთ ჩვენს, ზოგ შემთხვევაში, ღირსეულ მოთამაშეებს ფრანგი ფეხბურთელების ფილიგრანულ ტექნიკასთან, ეფექტურ ხელოვნებასთან? ხომ არ გეშინოდათ?***

— არა. უკვე მნიშვნელოვანწილად შეგნებული გვაქვს, რომ ზოგ ქვეყანაში ჩვენზე უკეთეს ფეხბურთს თამაშობენ. რაც შეეხება ფრანგებს, მათ ახლა ევროპაში საერთოდ გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ. მხოლოდ იმას დავაკვირდეთ, როგორ კლუბებში თამაშობენ საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელები. ისინი ხომ უკლებლივ ყველა დიდი ოსტატია.

● ***ესახალგაზრდა ფეხბურთელების მიზანმიმართული აღზრდის შედეგი გახლავთ. ასეა, არა? ასე ხომ ბევრი ექსპერტი თვლის?***

— ახლა, ფრანგულ საფეხბურთო ინტერნატებს ყველა ხოტბას რომ ასხამს, თავშეუკავებელი სიცილი მიტყდება. ვთამაშობდი ბრემენში, რომში, მარსელსა და ლევერკუზენში. სად იყო ყველაზე ცუდად ახალგაზრდა ფეხბურთელების აღზრდა? როგორ ფიქრობთ? სწორედ რომ მარსელის „ოლიმპიკში". ფრანგების ქება ახლა, უბრალოდ, მოდაშია.

● ***აბა რაზეა დამოკიდებული, ვთქვათ, გერმანიაში ისეთი ფეხბურთელების გამოჩენა, როგორიც ზიდანია?!***

— ასეთი რამ შემთხვევების დამთხვევის შედეგად ხდება. 1990 წლის ნაკრებში, რომელიც მსოფლიო ჩემპიონი გახდა, დაახლოებით ერთი ასაკის ვარსკვლავები თამაშობდნენ: გვიდო ბუხვალდი, ლოთარ მათეუსი, ანდრეას ბრემე, პიერ ლიტბარსკი, მე. უბრალოდ, ეს იყო მეტად წარმატებული, იღბლიანი თაობა, რომლის დაწინაურება სულაც არ იყო დამოკიდებული მწვრთნელების ახალგაზრდებთან მუშაობის ხარისხზე. ის კი უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი ტალანტი უნდა გამოწვრთნა. თავის დროზე იმდენს ვვარჯიშობდი მარცხენა ფეხით, რომ ლამის გრძნობას ვკარგავდი. მინდოდა, რადაც არ უნდა დამჯღომოდა, კარგად მეთამაშა მარცხენათი. ერვინ კოსტედესაგან ერთი ილეთი გადავიღე, რომელსაც შემდეგ მრავალგზის ვიყენებდი. რომ მოინდომო, ბევრ რამეს ისწავლი.

● ***შეგიძლიათ თუ არა ასეთი, უალრესად ღირსეული დამოკიდებულება თქვენი პროფესიისადმი შეათავსებინოთ ახალგაზრდა ვარსკვლავებს, ვთქვათ, როგორც სებასტიან დაისლერს ან მიხაელ ბალაკს?***

— ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, რომ ისინი, უბრალოდ, ვალდებული არიან ყველაფერი გააკეთონ, რომ წარმატებული კარიერა ჰქონდეთ. ჩემი შვილები, მაგალითად, სიამოვნებით თამაშობენ ფეხბურთს. მართალია, მათ ფეხბურთის გარდა, სხვა რამეც აინტერესებთ. რაც შემეხება მე, არაფერი ისეთი რამ ცხოვრებაში არა მქონია, მნიშვნელობით ფეხბურთს რომ შეედრებოდა. იგივე ითქმის ლიტბარსკიზე, მათეუსსა და ბრემეზე.

● ***თქვენი ყოფილი პარტნიორები ლიტბარსკი და ბრემე ახლა მწვრთნელებად მუშაობენ ლევერკუზენსა და კაიზერსლაუტერნში, მათეუსიც მწვრთნელობას აპირებს. ხომ არ თვლიან ნაკრების ყოფილი მოთამაშეები, რომ მათაც იგივე შეუძლიათ, რაც ფიოლერს?***

— ეს რომ ასეთი იოლი იყოს? მოთამაშის, თუნდაც გამოჩენილის, გამოცდილება მწვრთნელად სამუშაოდ საკმარისი არ არის. რაც შემეხება მე, სისტემატურად ვსწავლობდი მწვრთნელების საქმიანობას, ვაკვირდებოდი მათ. ჯერ კიდევ მოთამაშე ვიყავი, როცა 1996 წელს ლევერკუზენის „ბაიერის" პრეზიდენტმა რაინერ კალმუნდმა წინადადება მომცა მწვრთნელთა შტაბს ჩავდგომოდი სათავეში. მაინც, ჯერ მენეჯერობა ვამჯობინე, ასე ვთქვათ, ცოტა ხანს კულისებში მეტრიალა, ზოგი რამ მესწავლა.

● ***მენეჯერად რომ მუშაობდით, მწვრთნელების შერჩევაში ხომ არ მიგიღიათ მონაწილეობა?***

— არ მინდა ვინმეს მეტისმეტი შექება, მაგრამ როგორც ფეხბურთელს, მწვრთნელებში მეტად მიმართლებდა. ამიტომაც, როცა საკითხი დადგა, ლევერკუზენში მთავარ მწვრთნელად ბერტი ფოგთსი მოვიწვიე.

● ***მაშ ფოგთსი „ბაიერში" თქვენი მოწვეულია?***

— ჩემთვის კარგად იყო ცნობილი მისი სამწვრთნელო ღირსებები. იმიტომ, რომ ვიცნობდი მას, როგორც ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელს. როცა ბრემენში ვთამაშობდი, იქაც მყავდა შესანიშნავი მწვრთნელი ოტო რეჰაგელი. იგი, ეჭვგარეშეა, ჩინებული ფსიქოლოგი იყო, შეეძლო საერთო ენა გამოენახა 25, სრულიად განსხვავებული ხასიათის ადამიანთან.

● ***რა შეგიძლიათ ასწავლოთ გერმანიის ნაკრების ფეხბურთელებს?***

— თუნდაც ის, რომ კრიტიკულ, ექსტრემალურ სიტუაციაში მხოლოდ საკუთარი თავის იმედი მქონდა, თუმცა ფეხბურთი სწორედ რომ კოლექტიური თამაშია. ამასთან დაკავშირებით, შემიძლია მოგითხროთ, თუ რა რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდი, როცა „რომაში" ჩემს პირველ სეზონს ვატარებდი.

● ***მაინც, რა განიცადეთ „რომაში"?***

— 5 წელიწადი „ბრემენის" გულშემატკივრების საფარელი ფეხბურთელი ვიყავი და სწორედ მაშინ მომიხდა „რომაში" გადასვლა. მეტად მღელვარე გამოსათხოვარი საღამო მომიწყეს. აი რომში კი, მას შემდეგ, რაც უაზროდ მიღებული ტრავმა მოვიშუშე, არაფერი გამომდიოდა, უბრალოდ, თამაშიდან გამოთიშული ვიყავი. რაც შეეხება გერმანიას, აქ ჩემს შესახებ არაფერს წერდნენ, ხანდახან ჩნდებოდა სხვადასხვა ინფორმაცია, ისიც, როგორც წესი, მცდარი. ამასთან, „ვერდერის" საქმეებიც, მას შემდეგ, რაც დავტოვე გუნდი, სულ უკეთ და უკეთ წავიდა. ერთი სიტყვით, სრულიად განადგურებული ვ ვი. რაღა მრჩებოდა? ჩემი ერთადერთი სიხარული ეროვნული ნაკრებიღა იყო, იგი ჩემთვის სამშობლოსთან დამაკავშირებელი გახლდათ.

● ***ახლა კი თქვენ, როგორც ნაკრების მწვრთნელი, აპირებთ ასეთივე ეროვნული გრძნობა განუვითაროთ ნაკრების მოთამაშეებს?***

— უკვე ვხედავ, რომ ფეხბურთელები სიამოვნებით ეხმაურებიან ჩვენს თხოვნას ითამაშონ ნაკრებში, რომ ეროვნული ნაკრები თითოეული მოწვეულისთვის დიდად მნიშვნელოვანი რამ არის. ამას თუნდაც იმ მოთამაშეების სახეებით ვიგებ, რომლებიც სათადარიგოთა სკამზე სხედან. დარწმუნებული ვარ, გერმანიის ნაკრები არასოდეს იქნება ისეთი პასიური და გულგრილი, როგორც იმ სამწუხარო მატჩში ევროპის პირველობაზე პორტუგალიელებთან.

● ***შეიძლება მოთამაშეებს ისიც სიამოვნებთ, რომ უფრო თანამედროვედ აგებთ თამაშს, ვიდრე თქვენი წინამორბედი ერიხ რიბეკი?***

— რა სათქმელია. თანამედროვე სწორედ ისაა, რასაც წარმატება მოაქვს. დღეისათვის ყველაზე თანამედროვედ ითვლება ლევერკუზენის „ბაიერის" მწვრთნელთა რაზმი 4 მწვრთნელის შემადგენლობით. მაგრამ ხვალ ერთმა კაცმა შეითავსოს მთავარი მწვრთნელის, პრეზიდენტის, დარაჯის და მასაჟისტის ფუნქციები, ასე კლუბს გერმანიის ჩემპიონობა მოაპოვებინოს, ყველაზე თანამედროვედ სწორედ მას ჩათვლიან და მიბაძავენ კიდეც. ჩემთვის წარმატებული მუშაობის ნიმუში გახდა იტალიის ნაკრების თამაში ევროპის ჩემპიონატის ფინალში. ისინი შესაძლოა, მეტოქეებზე სულ ცოტათი უკეთესები იყნენ, მაგრამ ყურადღებით უნდა გედევნებინათ თვალი, როგორ თანაუგრძნობდნენ სათადარიგო მოთამაშეები იმათ, ვინც მინდორზე იყო.

● ***თქვენ თვლით, რომ ამნაირი გუნდური სულისკვეთება უკვე აქვს გერმანიის ახლანდელ ნაკრებს?***

— პასუხის მაგიერ ერთ რამეს გეტყოდით. გადავწყვიტე კრისტიან ციგე არ გამომეყვანა ინგლისის წინააღმდეგ. მან კი ყველაფერი, რაც ინგლისელებზე იცოდა, დაწვრილებით გაუზიარა მარკო ბოდეს, რომელიც მის მაგივრად თამაშობდა იმ მატჩში.

● ***მიუნხენის „ბაიერნის" სპორტულმა შეფმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ განაცხადა, რომ ნაკრების შტაბში აღარ იმუშავებდა. თქვენ, რა, აღარ გჭირდებათ მისი დახმარება?***

— არა, პირიქით, დიდი იმედი მაქვს, რომ რუმენიგე, ჩვენთან 2002 წლამდე დარჩება. ვფიქრობ, იგი მსოფლიო ჩემპიონატში ჩვენთან უნდა იყოს, თუკი, რა თქმა უნდა, იქ მონაწილეობის უფლებას მოვიპოვებთ.

● ***ადრე ფიქრობდნენ, რომ თქვენს შემდეგ ნაკრებს სათავეში უნდა ჩასდგომოდა ოტმარ ჰიტცფელდი. ახლა მან მიუნხენის „ბაიერნთან" 2004 წლამდე დადო კონტრაქტი. არის მოთხოვნები, რომ სწორედ თქვენ გააგრძელოთ ნაკრებში მუშაობა 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ.***

— ბოლო თვეებში დავრწმუნდით, თუ როგორი ძნელია თუნდაც უახლოესი მომავლის დაგეგმვა. ასთან, მინდა პრინციპულად ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ მწვრთნელად მუშაობა უზარმაზარ სიამოვნებას მანიჭებს. ეს მაშინაც ასე იყო, როცა ნაკრებში მუშაობას ლევერკუზენის „ბაიერში" საქმიანობასაც ვუთავსებდი, 4 კვირის განმავლობაში 7 მატჩს წავუძეხი.

● ***„ბაიერში" ადრეც მხსნელის როლში გამოდიოდით, მაშინაც კი, როცა ნაკრებში წახვედით და კრისტოფ დაუმისთვის ალაცდარმს ამზადებდით. უიმედო გერმანელი საფეხბურთო ფუნქციონერების საყვარელი და უღალატო ადამიანი ხართ?***

— არა, რატომ? დღეს ჩემთვის მეტად მღელვარე დრო დადგა. ძალიან მოხარული ვარ, რომ არ გამართლდა ის, რაც ბევრ ფეხბურთელს მოუვიდა, რომლებიც უბრალო ობივატელებად იქცნენ. ფეხბურთი ჩემთვის არ დამთავრებულა, იგი ჩემი ნამდვილი ცხოვრება გახლავთ.

ფერგიუსონი — მსოფლიოს რჩეული საკლუბო მწვრთნელი

დიახ, სწორედ ამას ამტკიცებენ „დეილი ტელეგრაფის" ანალიტიკური გამოკვლევის ავტორები, რომლებმაც შეადარეს ევროპისა და სამხრეთ ამერიკის საფეხბურთო კლუბების მაჩვენებლები. „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელის, სერ ალექს ფერგიუსონის შემდეგ მეორე ადგილი მიაკუთვნეს მიუნხენის „ბაიერნის" თავკაცს ოტმარ ჰიტცფელდს (სწორედ ამ ორი სპეციალისტის კლუბებმა იასპარეზეს სამშაბათს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ მატჩში).

მიმომხილველების გამოანგარიშებით ფერგიუსონის მეთაურობით „მანიუმ" ყველა მატჩის 63 პროცენტი მოიგო, ხოლო ჰიტცფელდის „ბაიერნის" მაჩვენებელი ერთი პროცენტით დაბალია.

„დეილი ტელეგრაფმა" მესამე ადგილი ერთდროულად ორ მწვრთნელს მიაკუთვნა — ესენია კატალონიური „ბარსელონას" ექს-თავკაცი ლუის ვან გაალი (ამჟამად იგი ჰოლანდიის ნაკრებს ხელმძღვანელობს) და არგენტინული „ბოკა ხუნიორსის" წინამძღოლი კარლოს ბიანკი, რომელთა მაჩვენებელი 57 პროცენტს უდრის.

საუკეთესო საკლუბო მწვრთნელთა ხუთეულში შეიყვანეს შვედი სვენ-გორან ერიქსონიც (ახლა იგი ინგლისის ნაკრებს თავკაცობს), რომელმაც რომის „ლაციოში" მიაღწია 56-პროცენტიან შედეგს.

ალექს ფერგიუსონივე სათავეში უდგას ყველაზე ტიტულოვან მწვრთნელთა სიასაც: მან 34 ადგილობრივი და 6 საერთაშორისო შეჯიბრება მოიგო (ამაში შედის მისი შოტლანდიის „აბერდინში" მუშაობის მიღწევებიც). მეორე ადგილზეა ჰიტცფელდი (15,2), მესამეზე — ერიქსონი (14,2).

ასეა, მწვრთნელს უნდა დაეცადო

რუსეთის ჩემპიონატის მიმოხილვა

რუსეთის X ჩემპიონატის წინ სულ ორ კლუბს ჰქონდა მოპოვებული გამარჯვება ქვეყნის პირველობაზე: მოსკოვის „სპარტაკს" (რვაჯერ) და „ალანიას". ახლა, „სპარტაკი" კვლავ ფავორიტად ითვლება, „ალანიასი" კი რა მოგახსენოთ — სამი ტურის შემდეგ ერთი ქულაც არა აქვს.

საყოველთაო ყურადღებას იპყრობს სამარის „კრილია სოვეტოვი", რომელიც წინა ჩემპიონატებში არაფრით გამოირჩეოდა. ახლა კი, დაუკვირდეთ: I ტურში მოსკოვში, სძლია ადგილობრივ „დინამოს" 1-0, მეორეში, ასევე მოსკოვში ცსკას — 3-0, მესამეში უკვე საკუთარ მინდორზე დაამარცხა მოსკოვის „ტორპედო" — 3-0. ცხადია, ასეთი შედეგები არ შეიძლება შემთხვევითი იყოს, მაგრამ მაინც საინტერესოა, რაშია საქმე?

ჩვენი აზრით, კლუბის ხელმძღვანელობა საფუძვლიანად სწორად მოიქცა, როცა ორი სეზონი „მოუთმინა" ისეთ ფანატიკოს მწვრთნელს (ამ სიტყვის კარგი გაგებით, რა თქმა უნდა!), როგორიც ალექსანდრ ტარხანოვი. შარშან და შარშანწინ ტარხანოვს სრულიად უფერული შედეგები ჰქონდა, მაგრამ მის საწინააღმდეგოდ ვინმეს სიტყვაც კი არ დასცდენია. ამასობაში კი გამოცდილმა სპეციალისტმა თავისი საქმე გააკეთა, ჩამოაყალიბა ანსამბლი, მოიწვია საჭირო

მოთამაშეები, დაფარა სუსტი ადგილები. აქ გარკვეულ როლს, ეტყობა, ისიც ასრულებს, რომ გუნდში საკმაოდ აღმოჩნდნენ, როგორც იტყვიან, „ნაწყვნი" ფეხბურთელები, რომლებსაც მოსკოვის წამყვანი კლუბები დაატოვებინეს, ახლა კი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მათ უსამართლოდ მოექცნენ. ეს პირველ რიგში ითქმის მცველ ევგენი ბუშმანოვსა და ნახევარმცველ ანდრეი ტიხონოვზე. ტიხონოვი ჯერ კიდევ გუშინ რუსეთის №1 ფეხბურთელად ითვლებოდა, ოლეგ რომანცევმა კი „სპარტაკიც" დაატოვ[illegible] ა და ნაკრებიც. მოტივაცია, როგორ[illegible] ვხედავთ, საკმარისზე მეტია.

იგივე ითქმის ბრაზილიელ ნახევარმცველ სამარონზე, რომელიც ადრე მოსკოვის სამ კლუბში თამაშობდა. ერთი სიტყვით, ახლა სამარის „კრილია სოვეტოვი" სულაც არა ჰგავს იმ კლუბს, შარშან მე-14 ადგილზე რომ გავიდა.

7-7 ქულა მოაგროვეს სანკტ-პეტერბურგის „ზენიტმა", მოსკოვის „სპარტაკმა" და ლიგის დებიუტანტმა, სარატოვის „სოკოლმა". მოგეხსენებათ, „სპარტაკის" შემადგენლობაში ირიცხება 19 წლის ოთარ ხიზანეიშვილი, რომლის მიმართ, როგორც ჩანს, რომანცევმა ინტერესი დაკარგა, ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს. ახლა „სპარტაკში" წინა პლანზე არიან ბრაზილიელები და უზბეკი დებიუტანტი, 24 წლის ეაფარ ირისმეტოვი, რომელზეც კლუბის ხელმძღვანელობა დიდ იმედებს ამ[illegible] ვნახოთ...

როგორც მოსკოვის „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი იური სიომინი აცხადებს, იგი ახლა შარშანდელი მეორე ადგილით არ დაკმაყოფილდება, გუნდის ქომაგმა, ცნობილმა იუმორისტმა გენადი ხაზანოვმა კი განაცხადა, რომ ნოემბერში ვერცხლის მედლებს მიულოცავს... მოსკოვის „სპარტაკს". „ლოკომოტივში" (მას ახლა 5 ქულა აქვს) საგრძნობი ცვლილებებია. იგი დატოვეს ვეტერანებმა ციმბალარმა, ტერიოხინმა (პირველი დივიზიონის კლუბ, კრასნოდარის „ყუბანში" ამჯობინა თამაში) და ახალგაზრდა ბულიკინმა, რომელიც ორიოდე წლის წინათ დიდად პერსპექტიულ თავდამსხმელად ითვლებოდა. შემდეგ კი... ახლა იგი მოსკოვის „დინამოში" გამოდის. სამაგიეროდ აშკარა შენაძენად ითვლება 24 წლის ბუზნიკინი, რომელიც რომანცევმა რამენსკოეს „სატურნში" გაუშვა, ნაკრებში კი იწვევს. ოინი, თუ გნებათ, ეს არის. როგორც მიმომხილველები ფიქრობენ, წელს ბუზნიკინ — ჯანაშიას წყვილმა, რომელსაც ზურგს უმაგრებს კარგი ოსტატი ლოსკოვი, თავისი სიტყვა უნდა თქვას. თუ აქამდე ჯანაშია თავდასხმაში ფაქტობრივად მარტო თამაშობდა, რითაც აიხსნებოდა მისი არც ისე მაღალი შედეგიანობა (31 გოლი 125 მატჩში რუსეთის პირველობაზე), ახლა ქართველი ფეხბურთელისაგან უკეთეს შედეგს უნდა ველოდეთ.

მოსკოვის გუნდებიდან ჯერჯერობით ვერაფერს დაიტრაბახებს ვერც „დინამო" (4 ქულა), ვერც „ტორპედო" (2), მით უმეტეს, ვერც „ტორპედო-ზილი" (1) და ცსკა (რომელმაც წააგო სამივე შეხვედრა).

ვალერი გაზაევი მოთამაშეების დიდ ჯგუფს გამოეთხოვა, მაგრამ მნიშვნელოვანი სასელექციო მუშაობაც წარმართა. მისი აზრით, დაცვა უნდა გაძლიეროს ელისტის „ურალანიდან" გადმოსულმა ცვეებამ, ხოლო თავდასხმაში ჩამოყალიბდა ახალი წყვილი ბულიკინი — გოგნიევი. ეს უკანასკნელი „დინამოში" შარშან მეორე წრიდან ჩაირიცხა ვლადიკავკაზის „ავტოდორიდან" და 15 მატჩში 5 გოლი გაიტანა. მოსკოვის „ტორპედოს" მთავარი მწვრთნელის, ვიტალი შევჩენკოს აზრით, უდავო შენაძენია ცნობილი მეკარე რომან ბერეზოვსკი, რომელსაც „ზენიტში" ჯეროვნად არ აფასებდნენ, საფრანგეთის უმაღლესი დივიზიონიდან კი მიწვევა ჰქონდა. როცა „ტორპედო-ზილის" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ევგენი კუზერევსკიმ რუსეთში სათანადო ძალები ვერ მონახა, მოიწვია ლიტველები, იუგოსლავიელები, ბოსნიელები. რაც შეეხება ცსკას, რომელსაც ახალი სპონსორი ჰყავს, აქ უკვე დგება მთავარ მწვრთნელ პაველ სადირინის შეცვლის საკითხი. კლუბის ქომაგები უკვე შარშანვე მოითხოვდნენ ახალი ხელმძღვანელის მოწვევას.

ეს ყველაფერი კი, რა თქმა უნდა, ბოლოდ დასაწყისია...

ბივი თორელი

სპორტული პლანეტა



შარლოტი — ფინიქსი. მარიო ელი (მარჯვნივ) „ფინიქსიდან“ ცდილობს მეტოქის ფარის დალაშქვრას.

NBA

უსუსური შარლოტელები...

„შარლოტი“-„ფინიქსის“ მატჩის შემდეგ მასპინძელთა გუნდის მწვრთნელი პოლ სილასი აშკარად გაწბილებული ჩანდა და აკი უწოდა კიდევაც მან თავის შეგირდებს „დედიკოს შვილები“. მართალიც იყო. „შარლოტი“ მატჩის ორ მესამედს დიდი ანგარიშით იგებდა, მაგრამ ბოლო წუთებში ისე უსუსურად ითამაშა, შეხვედრა ცხრაქულიანი სხვაობით დათმო — 94:103

გუშინ გამართული სხვა შეხვედრები კი ასე დამთავრდა: ორლანდო — ბოსტონი 108:101, ვაშინგტონი — მაიამი 84:86, კლივლენდი — ტორონტო 94:97, დეტროიტი — ფილადელფია 84:90, მინესოტა — პორტლენდი 83:79, გოლდენ სტეიტი — მილუოკი 78:108, ვანკუვერი — კლიპერსი 86:78.

აღმოსავლეთის კონფერენცია

ფილადელფია	**75**	**52**	**23**	**69,3**
მილუოკი	**75**	**48**	**27**	**64,0**
ნიუ-იორკი	**74**	**44**	**30**	**59,5**
მაიამი	**74**	**44**	**30**	**59,5**
შარლოტი	**75**	**42**	**33**	**56,0**
ტორონტო	**75**	**42**	**33**	**56,0**
ორლანდო	75	41	34	54,7
ინდიანა	74	34	40	45,9
ბოსტონი	75	34	41	45,3
დეტროიტი	75	28	47	35,7
კლივლენდი	74	26	48	35,1
ნიუ-ჯერსი	77	26	51	33,8
ატლანტა	74	23	51	31,1
ვაშინგტონი	74	18	56	24,3
ჩიკაგო	73	12	61	16,4

დასავლეთის კონფერენცია

	თ.	მ.	წ.	%
სან-ანტონიო	**74**	**52**	**22**	**70,3**
საკრამენტო	**73**	**49**	**24**	**67,1**
იუტა	**74**	**49**	**25**	**66,2**
ლეიკერსი	**75**	**49**	**26**	**65,3**
დალასი	**74**	**48**	**26**	**64,9**
პორტლენდი	75	47	28	62,7
ფინიქსი	74	46	28	62,2
მინესოტა	74	44	30	59,5
სიეტლი	76	41	35	53,9
ჰიუსტონი	75	40	35	53,3
დენვერი	75	36	39	48,0
კლიპერსი	75	27	48	36,0
ვანკუვერი	75	22	53	29,3
გოლდენსტეიტი	74	17	57	23,0

შენიშვნა: შავით გამოყოფილია გუნდები, რომლებმაც უკვე გაინაღდეს პლეი-ოფში თამაში.

პირველი ჩინელი ნბა-ში

„დალასმა“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა ჩინელ კალათბურთელ ეი-ეი ვონგთან. იგი პირველი ჩინელია, რომელიც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ისპარეზებს. აღსანიშნავია, რომ „დალასმა“ 23 წლის გიგანტი ვონგი (მისი სიმაღლეა 216 სმ) 1999 წლის დრაფტში აიყვანა, მაგრამ მისი გადმოყვანა ჩინეთიდან კარგა ხანს ვერ მოხერხდა, ვინაიდან როგორც სამხედრო ვალდებული, იგი ქვეყნიდან არ გამოუშვეს.

ვონგი

სუპროლიგა და ევროლიგა ერთიანდებიან

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ კალათბურთელთა სუპროლიგა (FIBA) და ევროლიგა (ULEB) მომავალი წლიდან ერთ საკლუბო ტურნირად გაერთიანდებიან. ამის თაობაზე შეთანხმდა ორივე ორგანიზაცია. ახალ გაერთიანებულ გათამაშებაში 23 გუნდი ითამაშებს.

მომავალ კვირაში ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის 29 კლუბის წარმომადგენლები შეიკრიბებიან, რათა ცვლილებები შეიტანონ თამაშის წესებში.

ჩოგბურთი

წილისყრა დევისის თასზე

გუშინ გაიმართა დევისის თასზე წილისყრა შვეიცარიისა და საფრანგეთის გუნდებს შორის, რომლებიც 6-8 აპრილს ერთმანეთს მეოთხედფინალში შეხვდებიან. პარასკევს მარკ როსე ეთამაშება არნო კლემანს, როჟე ფედერერი კი ნიკოლას ესკიუდეს შეხვდება. შაბათს, წყვილთა თანრიგში ერთმანეთის პირისპირ დადგებიან ფედერერ — მანტა და პიოლინე — სანტაორო. კვირას კი ფედერერ — კლემანის და როსე — ესკიუდეს წყვილები გაარკვევენ ურთიერთობას.

შვეიცარიელი როსე

შვეიცარიელი კი ამ ქვეყნისა და რუსეთის ნაკრებების მეოთხედფინალია. პირველები კორტებზე ტომას იუჰანსონი და ევგენი კაფელნიკოვი, შემდეგ მიხაელ იუენი და მაგნუს ნორმანი გამოვლენ. შაბათს მეტოქე წყვილებია: კაფელნიკოვ — ოლხოვსკი და ბერკმან ესპილინი. კვირას კაფელნიკოვი ნორმანს, იუენი კი იუჰანსონს ეთამაშება. რუსეთის ნაკრებს საფინი გამოაკლდა.

• ბიძსანტ ლიზარაზუ — მიუნხენის „ბაიერნის“ მარცხენა მცველი შესაძლოა მალე იტალიის „ინტერში“ გადავიდეს. ამის შესახებ მან განაცხადა გუშინ პრესკონფერენციაზე.

• შრანჩესკო ტოლდო — ფლორენციის „ფიორენტინას“ მეკარე კლუბმა დიდი თანხით დააჯარიმა ამის გამო, რომ მან გაავრცელა ცრუ ინფორმაცია, თითქოსდა, გასაყიდ მოთამაშეთა სიაში შეიყვანეს.

• იონელ განეა — გერმანული „შტუტგარტის“ ფორვარდმა, რომელიც რუმინეთის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლადისლაუ ბოლონიმ საქმისადმი არაპროფესიული დამოკიდებულებისათვის საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ მატჩის წინ გუნდიდან დაითხოვა, გუშინ ოფიციალურად მოიხადა ბოდიში და ითხოვა კვლავ დაბრუნონ „ტრიკოლორეს“ რიგებში.

• ფერნანდო კოუტუს — რომის „ლაციოს“ პორტუგალიელ ნახევარმცველს დისკვალიფიკაცია ელის, ვინაიდან „ფიორენტინასთან“ მატჩის წინ აღებულმა ანალიზებმა მის ორგანიზმში დოპინგის, სახელდობრ ნანდროლონის ნარჩენები აღმოაჩინეს. „ლაციოს“ პრეზიდენტმა სერჯიო კრანიოტამ სასწრაფოდ პრეს-კონფერენცია მოიწვია, სადაც ეჭვი გამოთქვა ჩატარებული გამოკვლევის სისწორეში: „დარწმუნებული ვარ განმეორებითი ტესტ-კონტროლი ობიექტურად ჩატარდება. ჩვენს გუნდში ფეხბურთელები მხოლოდ მინერალურ წყალს და ვიტამინებს იყენებენ“.

• ვინჩენცო მონტელა, რა თქმა უნდა, შესანიშნავი თავდამსხმელია და იტალიის ნაკრებშიც გამოდის. აი „რომაში“ კი, მას შემდეგ, რაც აქ გაბრიელ ბატისტუტა გადავიდა, მონტელას სულ იშვიათად და იშვიათად უხდებოდა თამაში. აი, როცა ბატისტუტა დაშავდა, მონტელამ „აიწყვიტა“ და 3 მატჩში 5 გოლი გაიტანა.

და მაინც, რა თქმა უნდა, ბატისტუტა სულ სხვაა. აი იტალიელი ექსპერტების დასკვნა: მონტელა ბატისტუტას, როგორც სნაიპერს კი შეცვლის, მაგრამ როგორც გუნდის ლიდერს, ვერა.

• მას შემდეგ, რაც ლონდონის „ჩელსი“ დაატოვებინეს, ჯანლუკა ვიალი არსად მუშაობს. ერთხანს იგი მინდორზე დაბრუნებასაც კი აპირებდა, ვისზე ნაკლებად ვითამაშებო, მაგრამ...

რაც გადადგნენ „უდინეზეს“ გენერალური დირექტორი პიერპაოლო მარტინო და მთავარი მწვრთნელი ლუიჯი დე კანიო, ერთხანს აქ ვიალის მიწვევა უნდოდა. იფიქრეს, იფიქრეს და მთავარ მწვრთნელად ბოლოს მაინც ლუჩანო სპალეტი მიიწვიეს, რომელიც გენუის „სამპდორიასა“ და „ვენეციაში“ მუშაობდა.

ველოსპორტი

მრავალდღიანი

რბოლა ბელგიელმა მოიგო

ბელგიელი ველომრბოლის ჰანს დე კლერკის გამარჯვებით დასრულდა მრავალდღიანი ველორბოლა სახელწოდებით „სამი დღე ვან დე პანში“. ამ ქალაქის ირგვლივ გამართულ ბოლო, 114 კმ-იან ეტაპზე კი წარმატებას მიაღწია სლოვენიელმა ზორან კლემენჩიჩმა.

რა დროს ბრონქიტი იყო!

კვირას გაიმართება ერთდღიანი რბოლა „ფლანდრიის ტური“, რომელიც ველოსპორტში მსოფლიო თასის მესამე ეტაპია. უცილობელ ფავორიტად ამ ასპარეზობაში ბელგიელი პეტერ ვან პეტეგემი ითვლებოდა, მაგრამ გუშინ იგი გაცივდა და მძიმე ბრონქიტის დიაგნოზით საავადმყოფოში მოათავსეს. მიუხედავად ამისა, ბელგიელი არ კარგავს იმედს: „ექიმები შემპირდნენ შაბათს შინ გამიშვებენ და რბოლაში ასპარეზობის შესაძლებლობა მომეცემა.

„სადაც კი მანქანა, ყველგან გაზრდებს ხსნიან“

რუსეთის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტი ვიაჩესლავ კოლოსკოვი ხშირად ხვდება ჟურნალისტებს.

• მწვრთნელების ლიცენზირება ისევე უნდა მოხდეს, როგორც, ვთქვათ, იტალიაში?

— რა თქმა უნდა. ამ კანონზე ახლა ვმუშაობთ. იმ მწვრთნელებს, რომლებსაც ლიცენზია არა აქვთ, არ უნდა მივცეთ კლუბებში მუშაობის უფლება.

• რაში უნდა იყოს, კანონის თანახმად, სახელმწიფოს როლი ფეხბურთის განვითარებაში?

— უპირველეს ყოვლისა, ეს არის სხვადასხვანაირი შეღავათი გადასახადებში. მაგალითად, ის სახსრები, რომლებიც ფეხბურთის სასარგებლოდ არის მიმართული, გადასახადისგან უნდა განთავისუფლდეს. ამდენად, ფეხბურთი მეცენატებს მოიზიდავს.

• რას იტყვით, სათადარიგო შემადგენლობათა შეჯიბრების განახლების შესახებ? ამ საკითხში ხომ მწვრთნელებს ერთიანი აზრი არა აქვთ.

— დიახ, არის გუნდების ჯგუფი, რომელიც ამ ტურნირის საბოტაჟსაც კი აპირებს, მაგრამ ისინი ამას ვერ გააკეთებენ. ამასთან, 12 კლუბს ხომ ამ შეჯიბრების განახლება სურს. მათ მშვენივრად ესმით, რომ ოსტატების გუნდებსა და იმ ყმაწვილებს შორის, რომლებმაც ბავშვთა სპორტული სკოლები დაამთავრეს, დიდი განსხვავებაა. ვთქვათ, 18 წლის ჭაბუკმა ეს სკოლა დაამთავრა. სად უნდა წავიდეს? მთავარ გუნდში მას ხომ არ მიიღებენ. ამიტომაც, როგორც წესი, ვკარგავთ ამ ჭაბუკების დიდ ნაწილს. დუბლიორთა ტურნირი ამ 18-19 წლის ახალგაზრდებისთვის კარგი პოლიგონი უნდა გახდეს.

• რამდენად პერსპექტიული და რენტაბელურია რუსეთში ფეხბურთის ბიზნესი?

— ჯერჯერობით იგი აბსოლუტურად უპერსპექტივო და არარენტაბელურია, რადგანაც ფინანსირების ძირითადი წყაროები არა გვაქვს. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, სატელევიზიო უფლებების გაყიდვით მიღებული შემოსავალი. ასე, მაგალითად, „მანჩესტერ იუნაიტედს“ ამ უფლებების გაყიდვით ტელევიზიისგან ასობით მილიონი დოლარი აქვს...

• ამბობთ, რომ ჩვენი ფეხბურთი იმ კანონებით არ ცხოვრობს, როგორც ეს მთელ მსოფლიოშია მიღებული, რას უნდა ველოდეთ?

— კარგია, რომ გვაქვს ბავშვთა ფეხბურთი, მის გარეშე პერსპექტივა არ იქნებოდა. რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ათასობით გადახურული მანეჟი უნდა შეექმნათ, მინდვრები ხელოვნური საფარით. მაღალი ხარისხის ინვენტარიც უნდა გვქონდეს...

• სადაც კი გადაჯურული მანეჟი შედის მწყობრში, იქ ყველგან ბაზრობებს ხსნიან.

— დიახ, სამწუხაროდ ეს ასეა. და მაინც უმთავრესი მატერიალურ-ტექნიკური ბაზაა. ჩვენთან ხომ წლის დიდი მონაკვეთის განმავლობაში არ არის ღია ცის ქვეშ თამაშის შესაძლებლობა. მეორეა ბავშვთა და ჭაბუკთა ფეხბურთის ბიუჯეტიდან დაფინანსებები. მესამე ასპექტი ბიზნესია. უნდა შეიქმნას ისეთი პიროობები, რომელიც ფეხბურთში ინვესტიციების მოზიდვას შეუწყობს ხელს. საჭიროა შეღავათები. თუ ეს სამი პირობა ერთმანეთს დაემთხვევა, მაშინ იმის შესაძლებლობა, რომ ჩვენ მხოლოდ მონაწილეობას კი არ მივიღებთ პრესტიჟულ ტურნირებში, არამედ გავიმარჯვებთ კიდეც, მკვეთრად გაიზრდება.

ხვალ რუმინეთთან გვაქვს დიდი სარაგბო ომი!

გადამწყვეტი შეხვედრა გელოდებათ ტყე-პარკში

ფეხბურთი რაგბს რუმინეთშიც ისე ეპყრობა, როგორც საქართველოში

მაშ ასე, ხვალ, შაბათს, 7 აპრილს „ევროპის ერთა თასის" გადამწყვეტი თამაშია: შარშანდელი ჩემპიონი რუმინეთი უმასპინძლებს საქართველოს, რომელსაც მასსავით აქამდე გამართული ოთხივე თამაში მოგებული აქვს.

ამთავითვე შევნიშნოთ, რომ მასპინძლებს თასის მოსაპოვებლად ფრეც ყოფნით, რადგან ამ შემთხვევაში გუნდებს საცხრილო ქულები ტოლად დაუგროვდებათ და საქმე მიდგება გატანილი და გაშვებული ბურთების სხვაობაზე, რომელიც ამ მომენტში კარპატელ „მუხის ფოთლებს" ჩვენს „ბორჯღალოსნებზე" ბევრად უკეთესი აქვთ.

ამდენად, ქართველებს მხოლოდ გამარჯვება გვაძლევს ხელს. ეჭვი არ გვეპარება, რომ ჩვენი მორაგბეები თავს დადებენ და მოსაგებად არაფერს დაიშურებენ, მით უფრო, თუ საზოგადოებაში მომწიფდა აზრი, რომ ჩვენი უსისხლო ფეხბურთელების რუმინელთაგან შერცხვენის შემდეგ, ქართულ სპორტს ღირსება ისევ და ისევ ჯიგრიანმა მორაგბეებმა უნდა აღუდგინონ.

„ბორჯღალოსნები" დიდი მატჩისთვის ერთობ სერიოზულად მომზადნენ. რაგბის კავშირმა (სრკ) სახსარი არ დაიშურა და ნაკრებს ორშაბათიდან საფრანგეთში მოუწყო ბარაჟიანი შეკრება.

მაშლეთში მოღვაწე სრკ-ის ვიცე-პრეზიდენტს, ზაზა ქასაშვილს მონპელიეს მახლობლად, გრანდ-მოტეში სპორტული ბაზა ჰქონდა შეგულვებული და ბიჭებს ამჯერადაც იქ მოუყარა თავი.

ქართველთა რაზმი თითქმის იგივეა, რაც ესპანეთის ძლევისას იყო. იმ 22-ეულს გამოაკლდა მხოლოდ გუნდის ახალბედა, „ლოკომოტივის" მარბიელი ბესო უდესიანი.

ოთხი აქაური მოთამაშე საფრანგეთს ადრე გაფრინდა. ოთხივე ბეკია: ირაკლი აბუსერიძე, კახა ალანია, ვასკა აბაშიძე და მახო ურჯუკაშვილი. პირველი სამი წლეულს, ქვეყნის პირველობაზე, რომელიც მაისში დაიწყება, „ლოკომოტივში" ითამაშებს, მახო კი „უნივერსიტეტში".

დროულად მოურჩათ ტრავმები საფრანგეთში დაბადებულსა და გაზრდილ გრეგორი იაშვილს და ექს-„ჯოჩსა" და ექს-მორბენალ ბადრი ხეხელაშვილს.

მათ გარდა, ნაკრებთან ერთად მოემზადნენ საფრანგეთში მობურთავე მოხევე (!) სოსო ნიკოლაენკო; უმცროსი მოდებაძე, ირაკლი (ექს-უნივერსიტეტი) და თამაზ ჩადუნელი (ექს-ლოკომოტივი).

ამრიგად, „ბორჯღალოსანთა" სარუმინეთი 26-კაცა წინასწარი რაზმი ასეთია: მძიმე ფორვარდები (№ 1, 2, 3, 16 და 17): მევლუდ მთიულიშვილი, აქსენტი გიორგაძე, ლევან ცაბაძე, გოდერძი შველიძე, ტარიელ რატიანიძე და იოსებ ნიკოლაენკო; ზორბა ფორვარდები (№ 4, 5 და 18): ივანე ნადირაძე, ვიქტორ დიდებულიძე, ზურაბ მჭედლიშვილი და თამაზ ჩადუნელი; ჩაუქი ფორვარდები (№ 6, 7, 8 და 19): დავით ბოლღაშვილი, გრიგოლ ლაბაძე, ილია ზედგინიძე და გრეგორი იაშვილი; ჰავბეკები (№ 9 და 20): ირაკლი აბუსერიძე, შოთა მოდებაძე და ირაკლი მოდებაძე; შუა ბეკები (№ 10, 12, 13 და 21): პავლე ჯიმშელაძე, ვასილ კაცაძე, თევდორე ზიბზიბაძე, კახაბერ ალანია და ბადრი ხეხელაშვილი; უკანა ბეკები (№ 11, 14, 15 და 22): ვასილ აბაშიძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, ბესარიონ ხამაშურიძე და ელგუჯა იოვაძე.

რა თქმა უნდა, არც მეტოქე თვლემს. რუმინელებს ერთი პირობა პრობლემა შეუქმნა საფრანგეთის ჩემპიონატის კალენდარმა.

საქმე ისე იყო, რომ თუ მატჩი თავიდან დანიშნულ დღეს, კვირას, 8 აპრილს გაიმართებოდა, ჩვენი მეტოქე ლეგიონერებს მოისაკლისებდა.

რუმინელ „ვარსკვლავებს" ფრანგული კლუბები უხალისოდ ათავისუფლებენ ეროვნული ბეგარის მოსახდელად, არც თავად მოთამაშეები ბრძანდებიან მაინცდამაინც პატრიოტები, და თან ბევრ ჟამს ერთობ გამსუნაგდნენ - რას აღარ მოიგონებენ, თავიანთ რაგბის მამებს რაც შეიძლება მეტი ფული რომ დასცინცლონ.

აქამდე ასე ყოფილა, რომ მონაკრებე რუმინელებს მხოლოდ გასვლით თამაშებზე ეძლეოდათ დღიურ ულუფად 11 დოლარი. წლეულს ამ წყალობამ 65 „ბაკს" უწია და საშინაო მატჩებიც მოიცვა. გარდა ამისა, სრული, 30-კაცა რაზმის ყოველ წევრს რაგბის ფედერაციამ თვიურ ჯამაგირად ას-ასი დოლარი დაუნიშნა, 22-ეულის წევრებს კი პრემიასაც შეპირდა: თუ „მუხის ფოთლები" თასს მოიპოვებენ, თითო ათას დოლარს მიიღებს.

გალატაკებული ქვეყნის შვილებისთვის ეს ვინძლო გვარიანი ფული იყოს, თორემ სხვა ბურთაობების ფონზე რომ აშკარად მწირი თანხაა, ამას დიდი ფიცი-მტკიცი არ სჭირდება.

ასეა თუ ისე, ეგზომ ცოტა ფულმაც მოუბრუნა გული კარპატელ მამლუქებს ეროვნული გუნდისკენ, თორემ სეზონის დასაწყისში, რა შეიტყეს, რომ ფედერაციამ ნაკრები გასაწვრთნელად ისევ მირჩა პარასკივს ჩააბარა, გაიბუტნენ და პორტუგალიასთან მატჩს ბოიკოტი გამოუცხადეს.

პარასკივი ცნობილი მოძღვარია, მაგრამ 1999 წლის მსოფლიო თასის შემდეგ მას მოწინავე მოთამაშეები აუჯანყდნენ, აქაო და გუნდში შუღლსა სთესავო.

აქედან მოყოლებული ნაკრები ზელანდიელ ჯონ ფილიპსს ებარა, მაგრამ რაც მის ხელში „მუხის ფოთლებმა" შინ 9:82 წააგეს კივეთის „ა" (მეორე) ნაკრებთან, სარაგბო საზოგადოება შეძრწუნდა და უცხოს ისევ თავისიანი ამჯობინა.

ფული ძლიერი არგუმენტია და ბობოლები მწვრთნელს დაუზავდნენ. ჰოდა, საქართველომ რომ ესპანეთი დაანგრია რუსთავში, იმ დღის ხვალ რუმინეთმა რუსეთი ისტორიული მოლოვას ცენტრ იაშში უსიტყოდ, 42:13 დაამარცხა.

იმ მატჩში კარპატელებმა მეტოქე ხუთჯერ დაალეოვეს: თავი ისახელეს კოროდიანუმ, მიტუმ, სოლომიემ (ბრეზოიანუს 50-მეტრა სოლოს შემდეგ), ტონიცემ და ბელანმა (გიოკმა რუსებს პასი ჩაუჭრა და ლელოსკენ გაიქცა, შებოჭილმა კი ბურთი თავისიანებს მაინც შეუნარჩუნა).

კარში კვლავ მიტუ ურტყამდა. მან ცხრა დარტყმით რვა გოლი გაიტანა, და ის ერთი გაცუდებული გარდასახვაც ძელს მოახვედრა!

თამაშზე დასწრება მუქთი იყო. ამის გამო ემილ ალექსანდრესკუს სახელობის სტადიონზე, რომელიც ქალაქში შემაღლებულ ადგილზეა გაშენებული, 9 ათასი მოსეირე მივიდა და მთელი საათნახევარი მექსიკური ტალღების გამოსახვით იქცევდა თავს.



რუმინეთი კარგი გუნდია, მაგრამ წლეულს ჩვენებს ძნელად რომ რამით ჯობდეს. „ბორჯღალოსნებს" ხომ არავისი რიდი აღარა აქვთ და ყველას, გინდ შინა და გინდ გარეთ, მხოლოდ მოგებაზე ეთამაშებიან. ასე რომ, ხვალ ფრიად ბრძოლას უნდა ველოდეთ.

მატჩი რუმინულად 14, ჩვენებურად კი 16 საათზე დაიწყება. აი, სტადიონის საკითხი კი, იქაც პრობლემად იქცა.

დიახ, რუმინელი მორაგბეებიც, მთელი თავიანთი ჩინ-მედლებისა და გარდასული დიდების მიუხედავად, მოძმე ფეხბურთელებისგან ხშირად მთლად მეგობრულ დამოკიდებულებას ვერ აწყდებიან.

აი, ახლაც, ფედერაციას ბუქარესტში დაუწყია მოდიდო სტადიონის ძებნა — ისეთისა, 5 ათას კაცზე მეტს რომ დაიტევს. გაგანია კვირაში რაგბის მამებს მიუმართავთ „დინამოს" ფეხბურთის კლუბისთვის, მაგრამ მისგან ცივი უარი მიუღიათ.

ახლა იმას აღარ იკითხავთ, სად გაიმართება „ერთა თასის" გადამწყვეტი ბრძოლა?

სადა და „სტიაუას" რაგბის მოედანზე, რომელიც გენჩას ტყე-პარკში მდებარეობს და მხოლოდ ორი (!) ათას მაყურებელს იტევს.

ზაალ ბიბინეიშვილი

ევროპის «ერთა თასი» – 2001

	მ	ფ	წ	ბ	ლ	ქ
რუმინეთი	4	0	0	168: 40	21- 3	8
საქართველო	4	0	0	136: 48	19- 4	8
რუსეთი	2	0	2	107:116	15-11	4
ესპანეთი	1	0	3	82:115	5-13	2
პორტუგალია	1	0	3	50:120	2-14	2
ჰოლანდია	0	0	4	44:148	4-21	0

V ტური

04-07 ბუქარესტი
რუმინეთი – საქართველო

04-08 კრასნოდარი
რუსეთი – პორტუგალია

04-08 ამსტერდამი
ჰოლანდია – ესპანეთი

ზაში

ჩიქოვი – მსოფლიო ჩემპიონი

მოსკოვში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი საერთაშორისო შაშში, რომელშიც 18 დიდოსტატი წრიული სისტემით ეჯიბრებოდა ერთმანეთს.

22 ქულით პირველ ადგილზე გავიდა ალექსეი ჩიქოვი, გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა გუნტის ვალერისი (ლატვია).

ძნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



6 აპრილი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ოვერტაიმი (19.25), ***რუსთავი-2.*** ფეხბურთი. უეფას თასის ნახევარფინალი (15.15), ***ევროკა.*** „მსოფლიო სპორტი" (10.45, 18.30), ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. სუპერლიგა (11.40, 15.20, 23.25), ჩოგბურთი. დევისის თასი: შვედეთი – რუსეთი (17.00), ***ESPN.*** ფეხბურთი: ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (12.00). იტალიის ჩემპიონატი „მილანი" – „ლაციო" (14.00), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. უეფას თასი (13.00), კალათბურთი. ევროლიგა (22.00), ***НТВ плюс футбол.*** იტალიის (14.29). შოტლანდიის (18.05, 1.15), ჰოლანდიის (20.45, 23.10).

7 აპრილი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2. ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (19.00). ***ევროკა.*** „მსოფლიო სპორტი" (23.45), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა. (11.40, 20.40, 23.30), ტაილანდური კრივი (14.50), ***ESPN.*** კრივი. კლასიკა (8.30), კალათბურთი. ნბა (12.30, 13.00), ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი (06.30), ***EUROSPORT.*** წყალტომი. ევროპის ჩემპიონთა თასი (18.00, 03.45), ფეხბურთი. უეფას თასი (20.00), ***НТВплюс футбол.*** ჰოლანდიის ჩემპიონატი (13.15), ევროპის ქვეყნების ჩემპიონატების მიმოხილვა (15.00), შოტლანდიის (15.45), გერმანიის (18.25, 1.20) ჩემპიონატები.

8 აპრილი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. ევროკა. მსოფლიო სპორტი (23.30), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (12.00), ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. „დევისის თასი" (2.30), ჩოგბურთი. „დევისის თასი" (15.00), კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა (20.35). ცხენოსნობა. კონკური (0.00), ტაილანდური კრივი (1.15), ***ESPN.*** ფეხბურთი: ინგლისის (08.30), იტალიის (12.30), აშშ-ის (16.30) ჩემპიონატები. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (17.00), ***EUROSPORT.*** წყალხტომი. ევროპის ჩემპიონთა თასი (14.00, 20.00). ველოსპორტი. მსოფლიო თასი (03.15). ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის (13.55, 1,35), ჰოლანდიის (15.55), ინგლისის (19.55), ჩემპიონთა ლიგის (21.50), საფრანგეთის (22.40), იტალიის (23.25) ჩემპიონატები და მიმოხილვა.

სასამართლო

მარჯინა ჰინგისს „კლინტონის მეგობარი" აეკიდა

მაიამის (ფლორიდა) სასამართლომ განიხილა 46 წლის ავსტრალიელ დუბრაკო რაჯევიჩის საქმე, რომელსაც ბრალად ედება ცნობილი ჩოგბურთელის დევნა-თვალთვალში. განსასჯელს შეიძლება აპელაციის შემდეგაც დაუმტკიცდეს ეს ბრალდება და 4 წელი ციხეში გაატაროს. ფსიქოლოგი ასკვნის, რომ ამ კაცს აქვს გარკვეული გადახრები და მაგალითად ის მოჰყავს, რომ რაჯევიჩი დაბეჯითებთან ამტკიცებს, ბილ კლინტონთან და მადლენ ოლბრაიტთან მეგობრობას.

კროსვორდი №27



მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თარაზულად: 5. პოზიცია ჰადრაკში, 6. „გალათასარაის" ბრაზილიელი ლეგიონერი, 10. საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი, 11. „ვალენსიას" ფეხბურთელი, 12. „რეალის" ფეხბურთელი, 13. საფეხბურთო ასპარეზი, 18. 70-იანი წლების ბრაზილიელი ფეხბურთელი, 19. სპორტის სახეობა, 20. ტერმინი რაგბში, 21. ქართული ხალხური თამაში, 26. ჭირვეული ინგლისელი ფეხბურთელი, 27. ესპანეთის კლუბი, 30. იტალიის კლუბი, 32. სპორტის მეცენატის ილიუმეინოვის სახელი, 33. წარსულში ქუთაისის „ტორპედოს" გუნდის უფროსი.

შვეულად: 1. იტალიის „სერია B"-ს კლუბი, 2. ბასკური კლუბი, 3. ესპანეთის კლუბი, 4. ჩეხეთის ნაკრების ფეხბურთელი, 7. უნგრეთის ნაკრების ფეხბურთელი, 8. აფრიკელი პელეს სახელი, 9. ესპანეთის კლუბი, 14. ბასკი ფეხბურთელი, 15. ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება საქართველოში, 16. წარსულში თბილისის „დინამოს" კალათბურთელი, 17. 50-იანი წლების ბრაზილიელი მცველი, 22. ამერიკელი ჩოგბურთელი ვაჟი, 23. თბილისის საფეხბურთო კლუბი, 24. კალათბურთის ატრიბუტი, 25. სატანვარჯიშო იარაღი, 28. სამხრეთკორეელი ფეხბურთელი, 29. კახი კალაძის თანაგუნდელი, 31. შოთა არველაძის ამჟამინდელი მწვრთნელის სახელი.

№26 კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 3. ტრანსფერი, 7. აკვრა, 8. ნოდია, 9. ლაზიერი, 12. სალამი, 16. „იბერია", 18. „ალავესი", 19. რავანელი, 20. ანჩელოტი, 22. იმედაძე, 23. უჩაძე, 25. პინტუ, 29. არზიანი, 30. „ნაიკი", 31. ალფაი. **შვეულად:** 1. ტრიალი, 2. პრუნია, 4. სიჭინავა, 5. სკალა, 6. ფიორე, 10. სამარანჩი, 11. ჯიუჯიტსუ, 13. მაჩაიძე, 14. სლალომი, 15. ასანიძე, 17. ბროლინი, 21. „ოდიში", 24. ძოლა, 26. „ნივა", 27. რაი, 28. „აია".

საჭადრაკო პრობლემა

ო. ბამულაშვილი



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ...c5!
1. ...dxe4 2. ef6 dxe5 3. ed4 dxe4
4. c3 dxe3 5. ea7X.
1. ...dxe6 2. ef4 dxe5 3. a4 dxe6
4. ef8 dxe5 5. ea8X.

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-5ა 14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სი"ტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წიწორია, ნანი რამიშვილი. ინფინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.